პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 188 (5289) | ოთხშაბათი, 17 აგვისტო 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

## დღეს გაზეთშია:

გადამწყვეტი ეტაპი მოსავლის აღებაში (მოწინავე)
**სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია:**
საინფორმაციო ცნობები კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 16 აგვისტოს სხდომებისა; კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 16 აგვისტოს სხდომის დღიურები (1-ლი და მე-2 გვ.)
საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში (1-ლი გვ.)
**ც. ზელიკსონ-ბობროვსკაია**—ლადო კეცხოველი (ფელეტონი, მე-2 გვ.)
**ნ. მაისურაძე** — თბილისის საოპერო თეატრის გასტროლები ლენინგრადში (ფელეტონი, მე-3 გვ.)
ყინულმჭრელი „ი. სტალინი" 19 აგვისტოს მიდის არქტიკულ რეისში (1-ლი გვ.)
**ლ. ისაკოვი** — სახემცინარნი (ნარკვევი, მე-4 გვ.)
ავიაციის დღის ჩატარების გეგმა (მე-2 გვ.)
**უცხოეთში:**
ნეგრინის კაბინეტის გადადგომა (1-ლი გვ.)
როგორ ამზადებენ იაპონელი პროვოკატორები „ინციდენტებს" (მე-4 გვ.)
ჩეხოსლოვაკიის ხალხი მზად არის დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა (მე-4 გვ.)
რესპუბლიკელთა ავიაციის გამარჯვება (1-ლი გვ.)
ესპანეთის ფრონტებზე (1-ლი გვ.).

# გადამწყვეტი ეტაპი მოსავლის აღებაში

[illegible]

...ქვას, რომ მაღლობ რაიონებში მოსავლის აღების ტემპები არადამაკმაყოფილებელია. ჯერ კიდევ ყველგან არ არის მოწყობილი გამოცდილების გაზიარება, მოწინავეთა წარმატებანი ყველასათვის ხელმისაწვდომი ვერ გახადეს. დროა მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის შეუფასებლობას ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს ამხანაგ ლ. ბერიას მითითება საქართველოს კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე: „ცალკეულ კოლმეურნეობათა და ცალკეულ ბრიგადათა წარმატებანი ყველა კოლმეურნეობის, ყველა ბრიგადის კუთვნილებად უნდა გადავაქციოთო".

მოსამზადებელი მუშაობა ზოგან სათანადოდ არ იყო გაშლილი, ამის შედეგია სამარცხვინო ჩამორჩენა მოსავლის აღებაში. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში 10 აგვისტოსათვის მოსავალი აღებული იყო 14.015 ჰექტარზე — გეგმის 79,9 პროცენტი, ეს მაშინ, როდესაც ყველა პირობა არსებობს ამ სამუშაოს ტემპების დასაჩქარებლად. მოსავლის აღების დაგვიანება იწვევს დანაკარგებს. სამხრეთ-ოსეთის ხელმძღვანელმა მუშაკებმა ჩამორჩენის გამოსასწორებლად ყველა ზომა უნდა მიიღონ. მოსავლის უკანასკნელ მარცვლამდე აღება ხელმძღვანელთა, საკოლმეურნეო აქტივის და კოლმეურნეთა მთელი მასის სისხლხორცეული საქმეა. ასეთივე მოთხოვნა უნდა წავუყენოთ ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის, ბაშკიჩეთის, თიანეთისა და დუშეთის ხელმძღვანელ მუშაკებს. ეს იმიტომ, რომ აღნიშნული რაიონები მოსავლის აღებაში ჩამორჩენილია.

მაგრამ მოსავლის აღებით არ სწყდება აღების საკითხები. წინ დიდი მუშაობა გვიძევს. უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს აღებული პურის დროულად დაზვინვას, ლეწვას. მოსავალი საუკეთესოდ უნდა დავაბინავოთ და მტკიცედ დავიცვათ დატაცებისაგან. ის, ვინც საკოლმეურნეო ქონებას თვალისჩინივით არ გაუფრთხილდება—ნებსით თუ უნებლიეთ წყალს ასხამს მტრის წისქვილზე.

ბოლშევიკური პირდაპირობით უნდა ითქვას, რომ ლეწვა საქართველოში აშკარად ჩამორჩენილია. 10 აგვისტოსათვის ასპინძის რაიონში გალეწილი იყო აღებული მოსავლის 5,5 პროცენტი, თიანეთისაში—21,7 პროც. კასპისაში—43, გურჯაანისაში — 49,8, თელავისაში 32,7, თბილისსაში—43,4. ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ ადგილობრივმა სამიწათმოქმედო ორგანოებმა, მტს-ებმა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა ლეწვა ბევრგან თვითდინებას მიანდეს და ვერ უზრუნველჰყვეს სალეწი მანქანების დღელამეში 20 საათით მუშაობა. ახალქალაქის რაიონში 15 აგვისტოსათვის მოსავალი აღებული იყო 2.565 ჰექტარზე, მაგრამ აქ ლეწვა არ ჰქონდათ დაწყებული. თბილისის რაიონის მუხრანის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში სალეწი მანქანა 10 დღეზე მეტი უქმად იდგა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე

[illegible]

...ლეწვის შეუფერხებელი მუშაობისათვის. მაგრამ ამის შესრულებას ვერ ვხედავთ.

„კომუნისტის" 12 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება „პურის ლეწვაზე მომუშავე მემანქანეთა, ტრაქტორისტთა, მწონავთა და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების შესახებ" გამოიწვევს ლეწვაზე მომუშავეთა უდიდეს დაინტერესებას ლეწვის ვადების შემცირებისათვის. ადგილობრივი ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ ეს დადგენილება საფუძვლიანად გააცნონ ლეწვაზე მომუშავეებს და განუხრელად გაატარონ ცხოვრებაში.

ლეწვის შეფერხება იწვევს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გაჭიანურებას. თელავის, თბილისის, საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებს სახელმწიფო ვალდებულების მოხდა უჭიანურდებათ, რადგან მტს-ები სუსტად იბრძვიან პურის ლეწვისათვის. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაობა შეფასებული იქნება არამარტო მომკილი პურის რაოდენობისა და მიღებული მოსავლის მიხედვით, არამედ იმის მიხედვითაც, თუ როგორ შეასრულებს სახელმწიფო ვალდებულებას ესა თუ ის რაიონი, კოლმეურნეობა. კოლმეურნეობებმა მტკიცედ უნდა დაიცვან სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების მე-11 მუხლი: „არტელის მიერ მიღებული მოსავლიდან და მეცხოველეობის პროდუქტებიდან არტელი:

ა) ასრულებს თავის ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე ჩაბარებისა და სათესლე სესხის დაბრუნების მხრივ, ანგარიშს უსწორებს ნატურით მტს-ს უკანასკნელის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის დადებულ ხელშეკრულებასთან შეფარდებით, რომელსაც კანონის ძალა აქვს, და ასრულებს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს".

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პურის დროულად მიზიდვას მიმღებ პუნქტებსა და ბეღლებში. ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნას საკოლმეურნეო ტრანსპორტის ყველა სახე. თვითეულ კოლმეურნეობას უნდა ჰქონდეს პურის ყოველდღიური გაზიდვის მტკიცე გრაფიკი. ნუ დავივიწყებთ, რომ პურის ჩაბარების გეგმის შესრულება პირველი მცნებაა.

დადგა გადამწყვეტი ეტაპი მოსავლის აღებაში. საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები პარტიასა და მთავრობას პასუხსაგებ გამოცდას აბარებენ. ეს გამოცდა ფრიადზე უნდა ჩავაბაროთ. ამით უზრუნველვყოფთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემდგომ სიუხვეს, საკოლმეურნეო წყობილების კიდევ უფრო განმტკიცებას და კოლმეურნეთა შეძლებულობის შემდგომ ზრდას.

## ყინულმჭრელი „ი. სტალინი" 19 აგვისტოს მიდის არქტიკულ რეისში

**ლენინგრადი,** 16 აგვისტო. (**ტელეგრ. ჩვენი სპეც. კორ.**) მეშვიდე დღე სწარმოებს ყინულმჭრელ „ი. სტალინის" მზადება პირველი არქტიკული რეისისათვის. 2 დღეა ყინულმჭრელის ტრიუმები განუწყვეტლივ ღებულობენ ნახშირს. ნახშირის დატვირთვას მოუნდება კიდევ 2 დღე. ამ ხნის განმავლობაში საბოლოოდ დამთავრდება ყინულმჭრელის შეღებვა, რაზედაც 200-ზე მეტი კაცი მუშაობს. შეღებილი კაიუტები გასასვლელები და ტრიუმები თეთრად ელვარებენ. აბრეშუმის ფარდები, ხალიჩები, შერჩეული მხატვრული სურათები შესანიშნავ კომფორტს და სილამაზეს ჰქმნიან. ყველგან იგრძნობა სტალინური ზრუნვა ყველაზე ძვირფას კაპიტალზე—ადამიანზე.

დღეს დამთავრდა სურსათის, აგრეთვე მექანიზმებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების დატვირთვა. ამჟამად გემბანზე ამაგრებენ სამ თვითმფრინავს, რომლებმაც ყინულების დაზვერვა უნდა აწარმოონ. თვითმფრინავების დამაგრების სამუშაოებს ხელმძღვანელობს ცნობილი პოლარელი მფრინავი ორდენოსანი ფარიხი. „ყინულის კაპიტანი" ვორონინი თავის უფროს თანაშემწე მაკაროვთან ერთად უშუალოდ ხელმძღვანელობს დატვირთვის სამუშაოებს.

18 აგვისტოს ყინულმჭრელი მივა ნახშირის ნავსადგომთან, ნახშირის დასატვირთავად. 19 აგვისტოს იგი დასტოვებს ოქტომბრის რევოლუციის აკვანს — ლენინის ქალაქს და გაემართება მთავრობის დავალების შესასრულებლად, ამაყად ატარებს რა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედის დიდი სტალინის სახელს.

**გ. თვალაძე**



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

კავშირის საბჭოს 11 აგვისტოს სხდომა

**სურათზე:** სხდომის დარბაზში მარცხნიდან მარჯვნივ (პირველ რიგში) ბ. ა. ბრატანოვსკი, მ. დ. ბაგიროვი, ლ. პ. ბერია, ი. ი. გუდოვი. (მეორე რიგში): ვ. ი. კაბანოვი, ნ. ი. დედიკოვი, ტ. ვ. ფედოროვა, ლ. ფ. ლეონოვა და ი. მ. მოსკვინი.

ფოტო ფ. კისლოვისა („სოიუზფოტო")

# სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

## საინფორმაციო ცნობა

### კავშირის საბჭოს 1938 წლის 16 აგვისტოს სხდომის შესახებ

გუშინ, 16 აგვისტოს, დღის 11 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს მეექვსე სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **ტ. დ. ლისენკო.**

დღისწესრიგშია კამათი „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების" პროექტის შესახებ გაკეთებულ მოხსენების გარშემო.

კამათში გამოვიდნენ შემდეგი დეპუტატები: **ო. ფ. ლეონოვა** (სვერდლოვის ოლქი, ქალაქი მოსკოვი), **ა. ი. ვიშინსკი** (ვოლსკის საარჩევნო ოლქი, სარატოვის ოლქი), **ა. ხუდაიბერგენოვი** (ტაშაუზის ოლქი, თურქმენეთის სსრ), **ე. ვ. კატაევა** (მელეკესკის საარჩევნო ოლქი, კუიბიშევის ოლქი) და **ა. პ. ლედენცოვი** (მოლოტოვის საარჩევნო ოლქი, სვერდლოვის ოლქი).

კამათის დამთავრების შემდეგ კავშირის საბჭომ მოისმინა მომხსენებლის სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის ამხ. **ნ. მ. რიჩკოვისა** და თანამომხსენებლის — კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წევრის დეპუტატ **ფ. ვ. შაგიმარდანოვის** საბოლოო სიტყვები.

შემდეგ კავშირის საბჭომ კენჭი უყარა და დაამტკიცა „კანონი სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების შესახებ".

კავშირის საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ნაწილების მიხედვით, ხოლო შემდეგ — მთლიანადაც „კანონი სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების შესახებ".

დეპუტატ **ვ. დ. ბოგდანოვის** წინადადებით კავშირის საბჭომ მიიღო დადგენილება—მოხდეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევნები და აგრეთვე მოსმენილ იქნას მოხსენება „სსრ კავშირის მოქალაქეობის" კანონის პროექტის შესახებ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

## საინფორმაციო ცნობა

### ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 16 აგვისტოს სხდომის შესახებ

გუშინ, 16 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარეობს — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი.**

დღისწესრიგშია — კამათი „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების" პროექტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები — **ფ. ფ. ბაფალდინი** (სვერლიტამაკის ოლქი, ბაშკირეთის ასსრ), **კ. დ. კულოვი** (ალაგირო-არდონის ოლქი, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ), **ვ. ს. მუსინსკი** (ჩრდილოეთის ოლქი, რსფსრ), **ა. ა. ხაჩიკიან-ალეკიანი** (ერევნის სავარეუბნო ოლქი, სომხეთის სსრ), **თ. მ. ბირკაძე** (კაპანდიბის ოლქი, აჭარის ასსრ) და მოსკოვის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. **ვ. ვ. ბუკანოვი.**

კამათის დამთავრების შემდეგ ეროვნებათა საბჭო ისმენს მომხსენებლის — სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის ამხ. **ნ. მ. რიჩკოვისა** და თანამომხსენებლის — ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **პ. ა. ტიურკინის** საბოლოო სიტყვებს.

შემდეგ ეროვნებათა საბჭო გადადის „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების კანონისათვის" კენჭისყრაზე და მის დამტკიცებაზე.

ეროვნებათა საბჭო ერთხმად ამტკიცებს—ნაწილების მიხედვით, ხოლო შემდეგ — მთლიანადაც — „კანონს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების შესახებ".

დეპუტატ **ვ. ი. ემცოვის** წინადადებით ეროვნებათა საბჭო იღებს დადგენილებას, რათა ჩატარდეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევნები და აგრეთვე მოსმენილ იქნას მოხსენება „სსრ კავშირის მოქალაქეობის" კანონის პროექტის შესახებ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

## სესიის სხდომის დღიური

### 1938 წლის 16 აგვისტო

### კავშირის საბჭოში

16 აგვისტოს, დღის 11 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, გაიხსნა კავშირის საბჭოს მეექვსე სხდომა.

ლოჟებში არიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სახალხო კომისრები.

დღის წესრიგშია კამათი „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების" პროექტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო.

თავმჯდომარე კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **ტ. დ. ლისენკო** სიტყვას აძლევს დეპუტატ **ო. ფ. ლეონოვას.**

ამხ. ლეონოვა მხურვალედ მიესალმება სასამართლოს წყობილების დებულების პროექტს, რომელშიაც ნათქვამია საბჭოთა სასამართლოს ამოცანის შესახებ დაიცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან სსრ კავშირის კონსტიტუციისა და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების მიერ დადგენილი სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, მეურნეობის სოციალისტური სისტემა და სოციალისტური საკუთრება.

— საბჭოთა ბავშვებიდან, საბჭოთა ახალგაზრდობიდან, — ლაპარაკობს ამხ. ლეონოვა, — იზრდებიან სოციალიზმის საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები. ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობა, ისევე როგორც მთელი ხალხი, უსაზღვროდ ერთგულია თავისი სამშობლოსი, თავისი პარტიისა, თავისი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისა (**მქუხარე ტაში**).

უდიდესი ყურადღებით ისმენს კავშირის საბჭო დეპუტატ **ა. ი. ვიშინსკის** სიტყვას.

— კაპიტალიზმის ყველაზე მოწინავე და დემოკრატიულ ქვეყნებშიაც კი, — აღნიშნავს ამხანაგი ვიშინსკი, — სასამართლო ექსპლოატატორთა კლასობრივი ბატონობის სამედო იარაღის როლს თამაშობს. აქ ბურჟუაზიული სასამართლოს ნამდვილი ექსპლოატატორული ბუნება იფარება მაღალფარდოვანი, მაგრამ ცრუ ფრაზებით თანასწორობასა და სამართლიანობაზე. იმ ქვეყნებშიაც კი, სადაც საპარლამენტო რეჟიმია, წლითიწლობით მეორდება სასამართლოს სამარცხვინო ტრაგედიები, რომლებიც ათასობით ადამიანებს, კაპიტალისტური წყობილების ათასობით უდანაშაულო მსხვერპლს უსპობს არა მარტო თავისუფლებას, არამედ სიცოცხლესაც.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები, რომლებსაც ოდესღაც რეკლამას უკეთებდა ლიბერალური ბურჟუაზია, როგორც კულტურისა და დემოკრატიის უკანასკნელ სიტყვას, კაპიტალისტურ ქვეყნებში უფრო-დაუფრო ხშირად უთმობენ ადგილს ყოველგვარ საგანგებო ტრიბუნალებსა და საგანგებო სასამართლოებს. ფაშისტურ ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები ლიკვიდირებულია. ფაშისტურმა იუსტიციამ კანონის ადგილზე დააყენა თვითნებობა, მოსამართლის ადგილზე — ჯალათი.

საბჭოთა სახალხო სასამართლოს ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული სსრ კავშირის მშრომელთა განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიასთან, ბრძოლისა სოციალიზმის მტრების — ტროცკისტ-ბუხარინელი მოღალატეების, ესერების, მენშევიკების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ, სოციალისტური საკუთრების გამფლანგველებისა და ხალხის სხვა მტრების წინააღმდეგ.

„სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების" პროექტს ამხ. ვიშინსკი ახასიათებს, როგორც შესანიშნავ საკანონმდებლო დოკუმენტს, რაც წარმოადგენს

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

## ნეგრინის კაბინეტის გადადგომა

**პარიზი,** 16 აგვისტო (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო ბარსელონიდან იუწყება, ნეგრინის კაბინეტი გადადგა. ჰფიქრობენ, რომ ახალი კაბინეტი შედგენილი იქნება ღამის განმავლობაში და რომ არსებითს ცვლილებებს მთავრობის ახალ შემადგენლობაში ადგილი არ ექნება.

## რესპუბლიკელთა ავიაციის გამარჯვება

**ბარსელონა,** 15 აგვისტო („პრავდის" სპეცკორი). დღეს, დილით განდესის სექტორში ავიაციამ დიდი როლი შეასრულა. იგი ეხმარებოდა მოქმედებაში რესპუბლიკელთა ჯარებს და აიძულა ფაშისტები დაეტოვებინათ მთელი რიგი პოზიციები.

იმავე სექტორში გაიმართა საჰაერო ბრძოლა, რაც 2 საათს გაგრძელდა. რესპუბლიკელთა ავიაციამ ჩამოაგდო 3 ორმოტორიანი ყუმბარმტყორცნი, 13 „ფიატი" და 2 „მესერშმიდტი"—სულ ფაშისტთა 18 თვითმფრინავი. რესპუბლიკელთა ავიაციას არც ერთი თვითმფრინავი არ დაუკარგავს.

„პრავდა" 1938 წ. 15 აგვისტო.
**მ. ფერნანდესი**

## მოდესტოს მიმართვა რესპუბლიკელი მებრძოლებისადმი

**ბარსელონა,** 15 აგვისტო (საკდესი). რესპუბლიკელთა არმიის სარდალმა პოდპოლკოვნიკმა მოდესტომ ამ არმიის კომისართან ერთად მიმართა მებრძოლთ მოწოდებით, სადაც ნათქვამია: „თქვენ შეასრულეთ სარდლობის ბრძანება. მამაცად და გაბედულად ეკვეთეთ მტერს და ხელთ იგდეთ ათასობით ტყვეები და დიდძალი სამხედრო მასალა. თქვენ დაიბრუნეთ ესპანეთის მიწა-წყლის ერთი ნაკვეთი და შეაჩერეთ ფაშისტთა შემოტევა ლევანტის ფრონტზე. მაგრამ მტერი ახალ ბრძოლას გვიმართავს განთავისუფლებულ ტერიტორიაზე. მან თავისი საუკეთესო ძალები გამოგზავნა ჩვენს წინააღმდეგ. იგი ვერ შერიგებია იმას, რომ ჩვენ ფეხქვეშ გავთელეთ მისი პრესტიჟი ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ. ჩვენ დიდ გამარჯვებას მივაღწიეთ, მაგრამ, თუ ჩვენ, ამასთანავე მტრის ყველა იერიშს მოვიგერიებთ, ეს უმაგალითო ამბავი იქნება.

ცალკეული ნაწილები უკვე აკეთებენ ამას. პანდოსის მთებში (განდესის მახლობლად) ჩვენ არ ვთმობთ არც ერთ მტკაველ მიწას, მიუხედავად იმისა, რომ მტერმა გაჰგზავნა იქ დიდძალი ავიაცია და არტილერია. ჩვენი ნაწილები, რომლებიც ომის ვეტერანებისაგან შესდგება, არა მარტო წინააღმდეგობას უწევენ მტერს, არამედ კონტრიერიშზედაც გადადიან და ტყვეები მოჰყავთ. მიჰბაძეთ მათ მაგალითს თუ ჩვენ მოვახერხეთ და შევინარჩუნეთ ტერიტორია, რომელიც დავიბრუნეთ მდ. ებროზე გადასვლის შემდეგ, ჩვენი გამარჯვება ოქროს ასოებით იქნება შეტანილი ესპანეთის ისტორიაში".

## ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობით)

**აღმოსავლეთის ფრონტი**

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 14 აგვისტოს ოფიციალური ცნობის თანახმად, მეამბოხეებმა ექვსჯერ მიიტანეს იერიში რესპუბლიკელთა პოზიციებზე სერვეს ხიდის რაიონში, ბალაგერთან. მთელი ეს იერიშები მოგერიებულ იქნა. მეამბოხეებმა დაჰკარგეს 300-ზე მეტი კაცი, მათ შორის მოკლულია ერთი მაიორი და ორი ლეიტენანტი. მდინარე ებროს ზონაში ინტერვენტების ნაწილებმა ხელახლად მიიტანეს იერიში რესპუბლიკელთა პოზიციებზე პანდოსის მთებში (განდესის მახლობლად) რესპუბლიკელებმა სავსებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის იერიშები და ხელთ იგდეს რამდენიმე ტყვე. ფაშისტთა ზარალი მეტად მნიშვნელოვანია. რესპუბლიკელთა ავიაციამ ფრონტის ამ უბანში მთელი რიგი წარმატებითი თავდასხმები მოაწყო, ყუმბარები დაუშინა სიმაგრეებს და ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჰფანტა მეამბოხეებისა და ინტერვენტების ჯარის შეჯგუფებანი.

დიდ საჰაერო ბრძოლაში, რომელიც 14 აგვისტოს მოხდა განდესის სექტორში და 2 საათს გაგრძელდა რესპუბლიკელთა მფრინავებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს იტალია-გერმანიის ავიაციაზე. მათ ისე ჩამოაგდეს ფაშისტთა 18 თვითმფრინავი, მათ შორის 3 ყუმბარმტყორცნი, რომ თვითონ არავითარი ზარალი არ მოსვლიათ.

**ლევანტის ფრონტი.**

უნივერსალესის (ტერუელის დასავლეთით) მთების სექტორში რესპუბლიკელებმა ბრწყინვალე იერიშებით დაიკავეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი სიმაღლეები (ლოს პიკანჩელესი, ალტოს დელ აგილა მოხონ ბლანკო, ელ კუერვო), უკვე გაიარეს სიმაღლეები 1.631 და 1.634 და წინ მიიწევენ.

სამხრეთ ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

ფაშისტური იტალია-გერმანიის ავიაცია კვლავ ბარბაროსულად უშენს ყუმბარებს რესპუბლიკის ქალაქების სამოქალაქო მოსახლეობას. 13 აგვისტოს, დილით, იტალიის „სავოიის" ტიპის რამდენიმე სამმოტორიანმა თვითმფრინავმა, რომლებიც კუნძულ მაიორკაზე არსებული ფაშისტთა საავიაციო ბაზებიდან მოფრინდნენ, 50-მდე ყუმბარა ჩამოაგდეს ალიკანტეს დასახლებულ უბნებში. ქალაქის სამოქალაქო მოსახლეობას შორის არიან მოკლულები და დაჭრილები. იმავე დღეს შუადღისას ფაშისტთა ჰიდროთვითმფრინავმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო ბარსელონის ნავსადგურის ზონაში. 14 აგვისტოს, დილით იტალიის „სავოიის" ტიპის 10 სამმოტორიანმა თვითმფრინავმა კვლავ დაუშინა ყუმბარები ბარსელონის სანაპირო უბნებს და ბადალონას გარეუბანს. რესპუბლიკელთა საზენიტო არტილერიის მიერ უკუქცეულმა თვითმფრინავებმა თავისი ყუმბარების მნიშვნელოვანი ნაწილი ზღვაში ჩაჰყარეს.

## გერმანიის მშრომელთა გამოსვლები ფაშისტური ჩაგვრის წინააღმდეგ

**ლონდონი,** 15 აგვისტო (საკდესი). „მანჩესტერ გარდიანის", „დეილი გერალდისა" და „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" ვარშაველი კორესპონდენტების სიტყვით, ვარშავაში მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ გერმანიის სილეზიაში ადგილობრივი მოსახლეობა ენერგიულ წინააღმდეგობას უწევს საზღვარზე სამხედრო სიმაგრეების აგებაზე წარმოებულ მუშაობას. ამის შედეგად გერმანიის ხელისუფალთა მიერ დაპატიმრებულია 494 კაცი ადგილობრივ ნახშირმთხრელთა და გლეხთა წრიდან. დაპატიმრებულებს ბრალდებას უყენებენ იმაში, რომ ისინი ანტიფაშისტურ ლიტერატურას ავრცელებდნენ. აღნიშნავენ, რომ მთელ რიგ შემთხვევებში მუშები წინააღმდეგობას უწევდნენ გესტაპოს აგენტებს.

## შეტაკება გესტაპოსა და გერმანიის სილეზიის მოსახლეობას შორის

**ვარშავა,** 15 აგვისტო (საკდესი). როგორც უკვე გადმოგვცემდნენ, გესტაპომ (გერმანიის საიდუმლო პოლიცია) უდიდეს საფორტიფიკაციო მუშაობასა და ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე გერმანელი ჯარების თავმოყრასთან დაკავშირებით, მასობრივი დაპატიმრება მოახდინა გერმანიის სილეზიის მთელ რიგ ქალაქებში, პოლონური გაზეთი „ნოვა ჟეჩ პოსპოლიტა", იუწყება, რა ამ ფაქტების შესახებ, აღნიშნავს: გერმანიის სილეზიის მოსახლეობაში ომის საწინააღმდეგო განწყობილება იმდენად ძლიერია, რომ მრავალ ადგილას მთელი დაბები ცდილობდნენ ძალით გაეწიათ წინააღმდეგობა გესტაპოს აგენტებისათვის, რომელნიც „წესრიგის დასამყარებლად" მივიდნენ. „ნოვა ჟეჩ პოსპოლიტას" სიტყვით, ასეთი შეტაკება, კერძოდ, მოხდა დაბა ბისკუპიცში (გერმანიის სილეზიის სამხრეთი ნაწილი, ჩეხოსლოვაკიის საზღვართან).

## საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

გუშინ, 16 აგვისტოს, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ვ. პ. პოტიომკინმა მიიღო პოლონეთის ელჩი ბ-ნი გრჟიბოვსკი, რომელიც თავისი მთავრობის დავალებით გამოცხადდა წინადადებით, რათა ლიკვიდირებულ იქნას ის ინციდენტები, რომელთაც დაარღვიეს ნორმალური საქმიანობა სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა და საკონსულოსი პოლონეთში და გამოიწვიეს საპასუხო ღონისძიებანი საბჭოთა ხელისუფლების მხრივ პოლონეთის საელჩოსა და საკონსულოებისადმი სსრ კავშირში. (საკდესი).

# კავშირის საბჭოს 1938 წლის 16 აგვისტოს სხდომის დღიური

(დასასრული)

უდიდეს ნაწილს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიზმის შემდგომი განვითარების გზაზე.

მხურვალე ტაშით ხვდებიან დეპუტატები ამხ. ვიშინსკის შემდეგ სიტყვებს:

— საბჭოთა სახელმწიფო მოითხოვს თავის სასამართლოსაგან შეუბრალებელ და თანამიმდევარ ბრძოლას სოციალიზმის ყველა მტერთან. საბჭოთა დაზვერვა, ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვის ხელმძღვანელობით ენერგიულად და დაუნდობლად ანადგურებს მემარჯვენე-ტროცკისტთა და სხვა მოღალატეთა ბუდეებს, სწმენდს საბჭოთა მიწა-წყალს ცბიერი გამცემლებისაგან, საზიზღარი ღალატისაგან, უცხოეთის ფაშიზმის აგენტებისაგან. ბოლომდე ანგრევს და ანადგურებს რა მემარჯვენე-ტროცკისტთა და სხვა მოღალატეთა ბუდეებს, საბჭოთა სასამართლო ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას სამშობლოს წინაშე, თავისი ქვეყნის მშრომელთა წინაშე, მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე, მთელი კულტურული კაცობრიობის წინაშე.

ტრიბუნაზე არის დეპუტატი **ა. ხუდაიბერგენოვი.**

— დიადი რუსი ხალხის უდიდესი დახმარებით, კომუნისტური პარტიისა და ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, — ლაპარაკობს ამხ. ხუდაიბერგენოვი, — თურქმენი ქალი მონიდან, როგორიც ის ოდესღაც იყო, გადაიქცა სოციალისტური საზოგადოების სრულუფლებიან და თავისუფალ წევრად, აქტიურ სახელმწიფო მოღვაწედ. თურქმენი ქალები დაწინაურებულნი არიან სამუშაოზე თურქმენეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატში. 3 თურქმენი ქალი თურქმენეთის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრია. ათასობით თურქმენი ქალები სახალხო მსაჯულებად მუშაობენ.

ამხ. ხუდაიბერგენოვი აკრიტიკებს სსრ კავშირისა და თურქმენეთის სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატებს თავისი ადგილობრივი ორგანოებისადმი არასაკმაო ხელმძღვანელობისათვის.

აღნიშნავს რა, რომ ახალი პროექტი სავსებით შეესაბამება სტალინური ეპოქის ისტორიულ თავისებურებებს, დეპუტატი **ე. ვ. კატაევა** გამოსთქვამს რწმენას, რომ დებულება სასამართლოს წყობილების შესახებ ერთსულოვნად იქნება მიღებული უმაღლესი საბჭოს მიერ. ამასთან ერთად, იგი აკრიტიკებს იუსტიციის სახალხო კომისარიატს სასამართლოს მუშაკთა კადრების სუსტი მომზადებისა და გადამზადებისათვის. კუიბიშევის ოლქში 114 სახალხო მოსამართლიდან 45-ს არა აქვს იურიდიული განათლება. სათანადო ყურადღებას არც სახალხო სასამართლოებს აქცევენ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები და, კერძოდ, კუიბიშევის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი. ზოგიერთ საუბნო სახალხო სასამართლოებს კუიბიშევის ოლქში არა აქვთ სადგომები.

სიტყვით გამოდის დეპუტატი **ა. პ. ლედენცოვი.** იგი აღნიშნავს სერიოზულ ნაკლოვანებებს სახალხო და საოლქო სასამართლოების მუშაობაში. ლედენცოვი აკრიტიკებს სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატს და პროკურატურას, რომლებიც გადაჭრით არ გამოეხმაურნენ სასამართლო საქმეების განხილვის გაჭიანურებას. ლაპარაკობს რა სახალხო მოსამართლეთა მომავალი არჩევნების შესახებ, ამხ. ლედენცოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ სამუშაოზე არჩეულ უნდა იქნან ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, რომელთაც უნარი შესწევთ ფხიზლად და ურყევად იდგნენ საბჭოთა კანონების სადარაჯოზე.

ამხ. ლედენცოვის გამოსვლის შემდეგ კავშირის საბჭო იღებს დადგენილებას შეწყდეს კამათი.

საბოლოო სიტყვა ეძლევა მომხსენებელს—სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარს ამხ. **ნ. მ. რიჩკოვს.**

— კამათმა გვიჩვენა, — ლაპარაკობს იგი, — რომ სასამართლოს წყობილების პროექტს, რომელიც შემოტანილია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, ერთსულოვნად უჭერს მხარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატი.

ამხ. რიჩკოვი აცხადებს, რომ ის ეთანხმება კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიისა და კამათში გამოსული დეპუტატების მიერ შემოტანილ შესწორებათა უმრავლესობას.

მომხსენებელი მართებულად აღიარებს სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოქმედების კრიტიკას.

მიმართავს რა დეპუტატებს, ამხ. რიჩკოვი აცხადებს, რომ მათი გამოსვლები და კრიტიკული შენიშვნები უდიდეს დახმარებას გაუწევენ სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებს მათი მუშაობის გარდაქმნაში.

საბოლოო სიტყვით საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის სახელით გამოდის დეპუტატი **ფ. ვ. შაგიმარდანოვი.** იგი აღნიშნავს, რომ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სასამართლოს წყობილების დებულების პროექტს.

შემდეგ კავშირის საბჭო გადადის „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების კანონისათვის" კენჭისყრაზე და მის დამტკიცებაზე.

კავშირის საბჭო ერთხმად ამტკიცებს — კარების მიხედვით, ხოლო შემდეგ — მთლიანადაც „კანონს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების შესახებ".

დეპუტატ **ვ. დ. ბოგდანოვის** წინადადებით კავშირის საბჭო იღებს დადგენილებას, რათა ჩატარდეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევნები და აგრეთვე მოსმენილ იქნას მოხსენება „სსრ კავშირის მოქალაქეობის" კანონის პროექტის შესახებ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე. (საკდესი).

# ეროვნებათა საბჭოს 1938 წ. 16 აგვისტოს სხდომის დღიური

16 აგვისტოს, საღამოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში შესდგა ეროვნებათა საბჭოს მეექვსე სხდომა.

ლოჟებში არიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სახალხო კომისრები.

დღისწესრიგშია კამათი „სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების" პროექტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო.

თავმჯდომარე—ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი** სიტყვას აძლევს დეპუტატს **ფ. ფ. ბაფალდინს.**

აღნიშნავს რა საბჭოთა სასამართლოსა და პროკურატურის დიდ დამსახურებას, დეპუტატი ბაფალდინი, ამასთან ერთად აკრიტიკებს მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. ამხ. ბაფალდინს მოჰყავს ბაშკირეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს და რსფსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ საჩივრებისა და პროტესტების განხილვის დაუშვებელი გაჭიანურების ფაქტები. ამხ. ბაფალდინი მიუთითებს სახალხო მოსამართლეთა მომავალი არჩევნებისათვის გულმოდგინედ მომზადების საჭიროებაზე.

შემდეგ გამოდის დეპუტატი **კ. დ. კულოვი.**

— მე მთლიანად ვუერთდები აქ გამოსული დეპუტატების წინადადებებს, რომლებმაც მოიწონეს სასამართლოს წყობილების დებულების პროექტი, — ამბობს ამხ. კულოვი.

ის ხაზგასმით აღნიშნავს დებულების მე-7 მუხლის დიდ მნიშვნელობას, რომელიც ამტკიცებს სამართალწარმოებას სსრ კავშირში მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა ენებზე.

ამხ. კულოვი აყენებს საკითხს სასამართლოს აღმასრულებელთა კადრებისათვის სერიოზული ყურადღების მიქცევის აუცილებლობის შესახებ. სასამართლოს აღმასრულებლებს ეკისრებათ პასუხსაგები მუშაობა სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრულების დარგში. მაგრამ სასამართლოს აღმასრულებელთა წრეში ხშირად იპარებიან შემთხვევითი და ბნელი ადამიანები.

ამხ. კულოვი გამოსთქვამს რწმენას, რომ სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატი უახლოესსავე დროში მიიღებს საჭირო ზომებს სასამართლოს აღმასრულებელთა მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ტრიბუნაზე არის დეპუტატი **ვ. ს. მუსინსკი.** იგი ლაპარაკობს სასამართლოს წყობილების ახალი დებულების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ.

—სასამართლოს წყობილების დებულების მიღებისა და მისი ცხოვრებაში გატარებისთანავე, — ლაპარაკობს ამხ. მუსინსკი, — იუსტიციის სახალხო კომისარიატი უნდა გახდეს სანიმუშო სახალხო კომისარიატად, ხოლო ჩვენ მას ამაში დავეხმარებით ადგილებზე.

ამხ. მუსინსკი სთვლის, რომ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს კადრების მომზადებას.

დეპუტატი **ა. ა. ხაჩიკიან-ალეკიანი** სავსებით უჭერს მხარს გამოსული დეპუტატების წინადადებებს სასამართლოს წყობილების დებულების პროექტის დამტკიცების შესახებ და ჩერდება იუსტიციისა და სასამართლოს ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **თ. მ. ბირკაძეს.**

— ჩვენში, საქართველოში, სახალხო სასამართლოების მრავალ მუშაკს, — ლაპარაკობს იგი, — არა აქვს საკმაო პრაქტიკული მომზადება. საქართველოს სს რესპუბლიკაში ამ უკანასკნელ დროს იუსტიციის ორგანოებში სამუშაოდ დაწინაურებულია მრავალი ახალი კადრი. ეს კადრები უნდა აღვზარდოთ და აღმოვუჩინოთ მათ საჭირო დახმარება მუშაობაში. მაგრამ, სასამართლოს ახალგაზრდა მუშაკთა კადრების სწავლების საქმე ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ცუდად არის მოწყობილი.

ამხ. ბირკაძე წინადადებას იძლევა, უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ქალთა საუკეთესო აქტივი სასამართლო ორგანოებში სამუშაოდ.

მოსკოვის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. **ვ. ვ. ბუკანოვის** გამოსვლის შემდეგ კამათი სწყდება.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა მომხსენებელი — სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. **ნ. მ. რიჩკოვი.**

კამათმა დაგვანახვა, — ამბობს ამხ. რიჩკოვი, — რომ სასამართლოს წყობილების დებულების პროექტს, რომელიც შემოტანილია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, ერთსულოვნად უჭერენ მხარს უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

ეროვნებათა საბჭოს სხდომებზე საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიისა და გამოსული დეპუტატების მიერ შემოტანილ იქნა შესწორებანი და დამატებანი, რომლებიც მნიშვნელოვნად აზუსტებენ პროექტის ცალკეულ დებულებებს და აუმჯობესებენ მის რედაქციას. ამხ. რიჩკოვი აცხადებს, რომ ამ შესწორებათა და დამატებათა მეტ ნაწილს ის სავსებით ეთანხმება და საჭიროდ სთვლის მიღებულ იქნას ისინი.

დასასრულ, ამხ. რიჩკოვი ამბობს, რომ ის სავსებით სწორად სთვლის სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკას და იუწყება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიღებულია და რომლებსაც იღებენ დეპუტატთა გამოსვლებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად.

საბოლოო სიტყვით გამოსულმა ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **პ. ა. ტიურკინმა** აღნიშნა, რომ ერთსულოვნად უჭერენ მხარს სასამართლოს წყობილების დებულების პროექტს, რომელიც შემოტანილია მთავრობის მიერ.

შემდეგ ეროვნებათა საბჭო გადადის „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების კანონისათვის" კენჭისყრაზე და მის დამტკიცებაზე.

ეროვნებათა საბჭო ერთხმად ამტკიცებს — კარების მიხედვით, ხოლო შემდეგ მთლიანადაც — „კანონს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების შესახებ".

დეპუტატ **ვ. ი. ემცოვის** წინადადებით, ეროვნებათა საბჭო იღებს დადგენილებას, რათა ჩატარდეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევნები და აგრეთვე მოსმენილ იქნას მოხსენება „სსრ კავშირის მოქალაქეობის" კანონის პროექტის შესახებ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე. (საკდესი).

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის პატივსაცემად

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველები და დამკვრელები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მუშაობას. სესიის მუშაობას ისინი აღნიშნავენ ახალი შესანიშნავი საწარმოო რეკორდებით, შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშებით. სატვირთო ვაგონების საამქროს ამწევზეინკლებმა ამხ. ი. დევსურაშვილმა და ვ. მიხანაშვილმა 16 აგვისტოს შრომის ნაყოფიერების შესანიშნავი რეკორდი დაამყარეს. 3 საათისა და 25 წუთის განმავლობაში მათ ასწიეს 13½ ვაგონი და დაუშვეს 1 ვაგონი, რითაც შეასრულეს ისეთი სამუშაო, რომელზედაც უნდა დახარჯულიყო 75 საათი და 37 წუთი. ბრიგადის შრომის ნაყოფიერება ამ დღეს 2.218 პროცენტს შეადგენდა.

15 აგვისტოს ავტომემუხრუჭეებმა ამხ. ვ. კაპანაძემ და მ. ალამაშვილმა საბერკეტო გადაცემებით მოაწყვეს 4 ვაგონი, რასაც მოანდომეს 1 საათი და 50 წუთი, მაშინ, როდესაც ნორმა 28 საათია. მათი შრომის ნაყოფიერება ამ დღეს 1.530 პროცენტს უდრიდა.

მუშაობის მაღალი მაჩვენებლებით აღნიშნავენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მუშაობას სხვა საამქროთა სტახანოველები. 15 აგვისტოს მწნეხავი ამხ. კერესელიძე მუშა ამხ. რაზმაძესთან ერთად, მუშაობდა წყვილთვალების ვაგონის ღერძზე დადგმაზე და სამუშაო დღის განმავლობაში საამქროდან გამოუშვა 21 წყვილი თვალი, მაშინ, როდესაც ნორმა რვა წყვილია. ამ დღეს ბრიგადამ ნორმა 230 პროცენტით შეასრულა.

სტახანოველები — ამხ. კოზლოვი, მიცკოვი, ეკალაძე და ბევრი სხვა ერთმანეთს ეჯიბრებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის პატივსაცემად და ყოველდღე აჭარბებენ გეგმებს 200—250 პროცენტით. (საქდესი).

O

ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მოწვევასთან დაკავშირებით ვალდებულება იკისრა სესიის გახსნას შეხვედროდნენ პროდუქციის გამოშვების გეგმის გადაჭარბებით შესრულებით. ნაკისრი ვალდებულება განაღდებულია. საამქროებმა და ბრიგადებმა საწარმოო დავალება გადაჭარბებით შეასრულეს. ამხ. კარაგადაევის საამქროს სტახანოვურმა ბრიგადამ, ე. გუშჩიანის ხელმძღვანელობით, აგვისტოს პირველი დეკადის გეგმა 230 პროცენტით შეასრულა. თვიური გეგმის—4 გიდრავლიკური წნეხისა და 6 ტუმბოს გამოშვებაზე — 13 კაცის ნაცვლად 5 კაცი მუშაობს; მიუხედავად ამისა, გეგმის შესრულება გუშჩიანის სტახანოვურმა ბრიგადამ სავსებით უზრუნველჰყო.

სტახანოველი კირაკოზოვის ბრიგადამ იკისრა აგვისტოს გეგმა—8 ცალი 1000-ლიტრიანი გიდრავლიკური წნეხის გამოშვება— შეასრულოს მთლიანად, ამავე დროს დაამზადოს საცობის დამცობი 5 მანქანა. აღნიშნული ვალდებულების 80 პროცენტი უკვე მთლიანად განაღდებულია. საამქრო კი გეგმას 150 პროცენტით ასრულებს და მიღწევებს კიდევ უფრო ანმტკიცებს.

ასეთივე მაჩვენებლებით შეხვდა სესიის გახსნას ამხ. პრილიპკოს საამქროც. ართამანოვისა და ი. პისკუნოვის ბრიგადები „მაიფერდის" ცილინდრისა და სხვა მანქანა-იარაღების დამზადების გეგმას 280—300 პროცენტით ასრულებენ. სტახანოველი ლ. ბალდასაროვი 1000-ლიტრიან გიდრავლიკურ წნეხს გეგმით გათვალისწინებული 15 საათის ნაცვლად 8 საათში აწყობს. (საქდესი).

# 1938 წლის 18 აგვისტოს საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის — საქართველოს აეროდრომზე ავიაციის დღის ჩატარების გეგმა

1. ავიაციის დღე—18 აგვისტო და სამოქალქო საჰაერო ფლოტის 15 წლისთავი თბილისის აეროდრომზე ტარდება, როგორც მასობრივი საყოველთაო სახალხო დღესასწაული.
2. დღესასწაული იხსნება დილის 11 საათზე თვითმფრინავ „უ—2"-დან პარაშუტისტ ბაქრაძის ფიგურული გადმოხტომით. იგი დაფდაფით იძლევა ნიშანს დღესასწაულის დაწყების შესახებ.
3. 11 საათსა და 10 წუთზე იწყება პარადი (მიწაზე). პარადში მონაწილეობას მიიღებენ ბერიას სახელობის ცენტრალური აეროკლუბის მუდმივი და ცვალებადი შემადგენლობა: პარაშუტისტები, პლანერისტები და ავიამოდელისტები.
4. დღის 12 საათზე იხსნება თბილისის მშრომელთა მიტინგი მიძღვნილი ავიაციის დღისა და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის 15 წლისთავისადმი.
5. 13 საათზე გაიმართება პარადი (საჰაერო). პარადში მონაწილეობას იღებს 13 თვითმფრინავი „უ-2" თავისი ეკიპაჟითა და პარაშუტისტებით.
6. პარადის დროს ხდება მფრინავ მოდელების გაფრენების დემონსტრირება.
7. ნაჩვენები იქნება საჰაერო მატარებელთა გაფრენები, უმაღლესი პილოტაჟის ტექნიკა და პლანერებიდან პარაშუტისტების ხტომა.
8. 800 მეტრის სიმაღლიდან გადმოხტება 12 პარაშუტისტი.
9. უმაღლესი პილოტაჟის დემონსტრირება თვითმფრინავების „უ-2" რგოლის მიერ.
10. დღესასწაულის მონაწილეთა ფრენა თვითმფრინავებით.
11. ავიაციის დღესასწაულს მომსახურებას გაუწევენ მუსიკის ორკესტრები, მოხდება ესტრადული გამოსვლები, რომელთაც აწყობენ საქფილჰარმონია და რადიოცენტრი.
12. თბილვაჭრობა ავიაციის დღესასწაულის დღეს აწყობს ფართო ვაჭრობას აეროდრომზე. გაიყიდება კვების ყველა სახის პროდუქტები და გამაგრილებელი სასმელები.
13. დღესასწაულის მონაწილეთა გადასაყვანად ავიაციის დღეს —18 აგვისტოს ინიშნება დამატებითი მატარებლები აეროდრომამდე მარშრუტით თბილისი — აეროპორტი და უკან: მატარებელი № 107 გავა 8 საათსა და 26 წუთზე, № 109 —9 საათსა და 35 წუთზე, № 119—13 ს. 12 წ. ადგილობრივი დროით.

მატარებლები აეროპორტიდან უკან წამოვლენ: № 107—15 საათსა და 28 წუთზე, № 109—17 საათსა და 13 წუთზე და № 119—18 საათსა და 14 წუთზე ადგილობრივი დროით.

# რა იწვევს ჩამორჩენას თამბაქოს შეტეხაში

(აფხაზეთი, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

აფხაზეთის კოლმეურნეობები და ერთპიროვნული მეურნეობები თამბაქოს მოსავლის აღებას მოუმზადებელი შეხვდნენ.

10 აგვისტოსათვის, აფხაზეთში თამბაქოს ყველა შეტეხის გეგმა კოლმეურნეობებში შესრულებული იყო 18,1 პროცენტით. აღებული იყო 11.773.447 ზონარმეტრი თამბაქოს მოსავალი.

1 აგვისტოს მთლიანად ამოიწურა თამბაქოს პირველი შეტეხის ვადა, მაგრამ ამ დროისათვის აფხაზეთის არცერთ რაიონს გეგმა შესრულებული არ ჰქონდა· განსაკუთრებით ჩამორჩნენ გაგრის, გუდაუთისა და გალის რაიონები.

თამბაქოს მოსავლის აღებას სუსტად ხელმძღვანელობენ ინდივიდუალურ მეურნეობებში. ამის გამო პირველი შეტეხის გეგმა ინდივიდუალურ მეურნეობებს 5 აგვისტოსათვის შესრულებული ჰქონდათ 59,3 პროცენტით, მეორე შეტეხისა—12,3 პროცენტით, მესამისა—1,7 პროცენტით.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები და სამიწათმოქმედო ორგანოებიც ასევე სუსტად ხელმძღვანელობენ თამბაქოს აღებას კოლმეურნეობებში. ოჩამჩირის რაიონის სოფელ თხინის კოლმეურნეობა „აბჟახუ" იმიტომ ჩამორჩა თამბაქოს შეტეხაში, რომ რაიონული ორგანიზაციები მას სათანადოდ არ ხელმძღვანელობენ. ამ კოლმეურნეობაში აღების დაგვიანების გამო 14 ჰექტარზე გადაიწვა თამბაქოს პირველი მოსავალი. კოლმეურნეობას 22 ფარდულიდან შეკეთებული აქვს მხოლოდ 5, ისიც ცუდად. პირველი ბრიგადის ფარდულში წვიმა ჩადის. ამის გამო აქ 430 ზონარმეტრი აცმული თამბაქო დაალპეს. კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა. კოლმეურნეები ივანე კუტარბა, გიჯი კუტარბა, ა. თორდუა, თ. სოლოკაია, ცაცა არკუჯი, ტ. შინკუბა, ა. სოლოკაია და სხვ. სრულებით არ გამოდიან სამუშაოზე, ხოლო მათი გამოსწორებისათვის მიღებული არ არის საჭირო ზომები. უდისციპლინობას ჰქმნის თვითონ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. არკუჯი, რომელმაც ამასწინათ 10 დღით უყურადღებოდ მიატოვა კოლმეურნეობა და სადღაც წავიდა.

უდისციპლინობის მაგალითებს სხვა კოლმეურნეობებშიც შევხვდებით. ოჩამჩირის რაიონის სოფ. თხინის კოლმეურნეობა „თხინ-აგუში" 50 მუშა-ხელიდან 17 სისტემატურად არ გამოდის სამუშაოზე. სოხუმის რაიონის ორდენოსანი აფხაზეთის სახელობის კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადიდან დასასვენებლად ერთბაშად გაუშვეს 20 კაცი, ხოლო ბრიგადაში დარჩა 10. ასეთივე მდგომარეობაა ამავე რაიონის სოფ. ეკატერინსკოეს კოლმეურნეობა „ებბროს სოციალიზმში" წებელდის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში და სხვ.

წელს აფხაზეთში თამბაქოს ფარდულების მშენებლობა და რემონტი ცუდად ჩატარდა. გაგრის რაიონის სოფელ კალდახვარის კოლმეურნეობა „რიცაში" წელს ააგეს ახალი ფარდულები. მაგრამ უვარგისი მასალისაგან და ცუდად აშენების გამო ოთხი ფარდული უკვე დაინგრა.

ნელი ტემპით მიმდინარეობს თამბაქოს პლანტაციების გათოხნა. განსაკუთრებით ჩამორჩა ოჩამჩირის რაიონი, სადაც მთელ რიგ კოლმეურნეობებში (ილორის კოლმეურნეობა, „ნაუდლენი" და სხვ.), თამბაქოს მესამედ გათოხნა დაწყებულიც არ არის. სამუშაოს დამთავრების ვადა კი ამოიწურა.

აფხაზეთის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ თამბაქოს მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

**გ. მერკვილაძე.**

---

ც. ზელიკსონ-ბობროვსკაია

# ლადო კეცხოველი

(გარდაცვალებიდან 35 წლისთავის გამო)

ოცდახუთმეტი წლის წინათ, 1903 წლის 17 აგვისტოს მეტეხის ციხეში მეფის ჯალათების მიერ მოკლულ იქნა ლადო კეცხოველი, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, კაპიტალიზმის წინააღმდეგ მგზნებარე, დაუღალავი მებრძოლი· ქართველი ხალხის ერთმა საუკეთესო შვილთაგანმა ამხანაგ სტალინთან ხელიხელ ჩაკიდებულმა პირველად გაშალა ამიერკავკასიაში რევოლუციური სოციალდემოკრატიის დროშა — ლენინური დროშა.

ამხანაგ კეცხოველის სიცოცხლე ხანგრძლივი არ იყო — სულ 27 წელი იცოცხლა მან,—1876-დან 1903 წლამდე. მაგრამ ცხოვრების ეს გზა სავსეა დაუღალავი რევოლუციური ბრძოლით. ეს ბრძოლა ბავშობიდანვე დაიწყო. ლადო ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო, როცა გამოედავა მამას —სოფლის მღვდელს იმისათვის, რომ იგი როგორც ხუცესი გლეხებს საეკლესიო გადასახადს ახდევინებდა. ლადო ურჩევდა მეზობელ გლეხებს არ გადაეხადათ იგი ხუცესებისათვის, რადგან ღმერთი არ არის, იგი ხუცების მიერ არის გამოგონილი თავის გამდიდრებისათვისო.

ეს დაუღალავი ბრძოლა გაგრძელდა მთელი მისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში იმ უკანასკნელ წუთამდე, როცა ლადო მეფის საპყრობილის მსახურთა დაქირავებულმა აგენტმა მოჰკლა მეტეხის ციხეში.

აი ჭაბუკი ლადო—გორის სასულიერო სასწავლებლის მე-4 კლასის მოსწავლეა, როცა ხელნაწერი ჟურნალის „განთიადის" გამოცემას აწყობს. ამის გამო მას სჯიან· ლადოს, რომელიც მშვენივრად სწავლობდა, საშუალება არ მისცეს დაემთავრებინა სასწავლებელი. უკანასკნელ კლასში ის კიდევ ერთი წლით დასტოვეს „გამოსასწორებლად". სწორედ აქ გაიცნო ლადომ და დაამკვიდრა მტკიცე მეგობრობა ამხანაგ სტალინთან, იმავე გორის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლესთან.

დაამთავრა თუ არა სასწავლებელი, კეცხოველი დიდის ვაი-ვაგლახით თბილისის სასულიერო სემინარიაში მოხვდა, სადაც ასეთივე აუტანელი ატმოსფერო სუფევდა, სადაც მასწავლებლები უფრო ჯაშუშობდნენ, ვიდრე ასწავლიდნენ, სადაც მშობლიური ქართული ენა აკრძალული იყო.

1893 წელს კეცხოველმა მოაწყო და მეთაურობდა სემინარიაში არსებული პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ სემინარიელების გაფიცვას.

ამ გაფიცვის გამო თბილისის ჟანდარმებმა შემდეგი დეპეშა გაგზავნეს: „პეტერბურგი, ჟანდარმთა კორპუსის მეთაურს. მართლმადიდებელი სემინარიის მოსწავლეთა უმრავლესობამ, მოითხოვა რა ზოგიერთი დამრიგებლების გაძევება და ქართული ლიტერატურის კათედრის დაარსება, შესწყვიტა მეცადინეობა. დარიგებამ შედეგი ვერ გამოიღო..."

ამ გაფიცვის შედეგად ლადო კეცხოველი არა მარტო გარიცხეს სემინარიიდან როგორც სხვა სემინარიელები, არამედ ქალაქიდანაც გააძევეს.

იგი გადავიდა კიევში და დიდი წვალების შემდეგ შევიდა კიევის სასულიერო სემინარიაში, სადაც დაუკავშირდა სოციალ-დემოკრატიულ არალეგალურ წრეებს.

აქ ის მოწმე გახდა იმ მჭიდრო კავშირისა, რომელიც არსებობდა ხუცებსა და ჟანდარმებს შორის. კიევის ჟანდარმთა სამმართველოში მისულიყო კიევის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი იოანიკი, რომელსაც განუცხადებია, რომ „სემინარიის ინსპექციამ დაათვალიერა კიევის სასულიერო სემინარიის მე-4 კლასის მოწაფის ვლადიმერ კეცხოველის ბინა". მის ნივთებს შორის აღმოეჩინათ „კრამოლური" წიგნები. შემდეგ მოყვანილია დიდი სია ლეგალური წიგნებისა, ისტორიისა, პოლიტეკონომიისა, ფილოსოფიისა, აგრეთვე ლონდონის „თავისუფალი რუსული პრესის ფონდის" მთელი რიგი გამოცემები. აცნობებდა რა ამის შესახებ პოლიციის დეპარტამენტს, კიევის ჟანდარმთა სამმართველო მიაქცევდა მის ყურადღებას მთელ რიგ მნიშვნელოვან დოკუმენტებს, რომლებიც აღმოჩენილ იქნა კეცხოველთან:

„ორი ხელნაწერი რვეული, სათაური: „რისთვის ვიბრძვით ჩვენ. გამოცემა რევოლუციონერებისა რუსეთის წიაღიდან", 1895 წ. შეიცავს რუსეთში ამჟამად არსებული მართველობის სისტემის შეცვლის პროექტი კონსტიტუციის შემოღების გზით".

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ კეცხოველს უპოვნეს ლექსი, რომელიც „წარმოადგენს მეფისა და ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოწოდებას და ამავე დროს ურჩევს ყველას გაერთიანდენ წითელი დროშის ქვეშ და ყველას, ვისაც შეგნებული აქვს, რომ რუსეთის რეგრესის მიზეზს ხელისუფლება წარმოადგენს, მოუწოდებს მოაწყონ ბარიკადები და საყოველთაო-სახალხო ომი".

მოხსენების ბოლოში ჟანდარმთა სამმართველო აცნობდა დეპარტამენტს, რომ „ვლადიმერ კეცხოველი, რათა მოესპოს გასამართლებისა და გამოძიების თავიდან აცილების საშუალება, მოთავსებულია კიევის საპყრობილეში".

პატიმრობის შემდეგ — სამშობლოში გადასახლება, პოლიციის მეთვალყურეობიდან გაქცევა, არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლა. შემდეგ დაბრუნება მშობლიურ კავკასიაში, შეხვედრები ამხანაგ სტალინთან, რომლის ინიციატივით და ხელმძღვანელობით, როგორც ცნობილია, ყალიბდებოდა ქართველ სოციალ-დემოკრატების რევოლუციურ-მარქსისტული ფრთა. 1897 წელს კეცხოველი შედის „მესამე დასში".

მუშათა რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან ერთად სულ უფრო-და-უფრო მომწიფდა მოთხოვნილება არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაზე. ლადო კეცხოველი მიზნად ისახავს ამ ამოცანის გადაწყვეტას. ის იწყებს სამსახურს სტამბაში, ბეჯითად სწავლობს სასტამბო საქმეს და ახერხებს ლეგალურ სტამბაში ქართულ ენაზე არალეგალური წიგნაკის—დიგშტეინის ბროშურის: „ლუკმა პურის ისტორიის" და აგრეთვე რამდენიმე პროკლამაციის დაბეჭდვას.

კეცხოველი იყო საოლქო ორგანიზატორი, რომელმაც იცოდა, როგორ შეეთავსებინა მკაცრი კონსპირაცია და მუშათა მასებთან მუდმივი კავშირი.

1899 წელს ის გამოდის თბილისში მუშათა არალეგალურ კრებაზე, რომელიც 1 მაისისადმი იყო მიძღვნილი. იმავე 1899 წლის დამლევს იგი ხელმძღვანელობს თბილისის ქალაქის „კონკის" მუშათა გაფიცვას. 13-საათიან სამუშაო დღეში მუშები ღებულობდნენ 90 კაპიკს, ამ ხელფასის დიდი ნაწილი ექვითებათ ჯარიმებში. დაჯარიმებას კი ბრალიან-უბრალოდ მიმართავდნენ.

1900 წელს კეცხოველი გადავიდა ბაქოში პარტიულ სამუშაოზე, ასრულებდა რა თბილისის ჯგუფისა და ამხანაგ სტალინის სპეციალურ დავალებას არალეგალური სტამბის მოწყობის შესახებ. კეცხოველმა ბრწყინვალედ შეასრულა ეს დავალება. 1901 წელს ბაქოში დაიწყო მუშაობა კარგად მოწყობილმა არალეგალურმა სტამბამ, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო კავკასიის პარტორგანიზაციის, არამედ მთელი ჩვენი პარტიის ცხოვრებაში.

ეს ის სტამბაა, რომელშიაც 1901 წლის შემოდგომიდან დაიწყო პირველი არალეგალური ქართული გაზეთის „ბრძოლის" ბეჭდვა. ეს იყო თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლენინურ - ისკრული მიმართულების ორგანო, რომელიც დაარსებული იყო ამხანაგ სტალინისა და კეცხოველის მიერ. ამავე სტამბაში იბეჭდებოდა ლენინური „ისკრა".

საინტერესოა მოვიგონოთ ლადო კეცხოველის სტატია „ბრძოლაში"— „ასი წლის იუბილეს გამო". ეს სტატია კეცხოველმა დასწერა სტალინის დავალებით და ცალკე პროკლამაციად გამოუშვა.

ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც ჩექმებს ულოკავდა თვითმპყრობელობას, დღესასწაულობდა საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავს. კეცხოველმა თავის წერილში განსაკუთრებული სიღრმით გააშუქა ეს საკითხი. მან მკაცრად გააკრიტიკა თვითმპყრობელობა, აღნიშნა მისი არარაობა, სიცარიელე, ზნეობრივი უძლურება, გონებრივი სიღატაკე და უსირცხვილო ვერაგობა. კეცხოველი სწერდა, რომ ცარიზმის ძლიერება აგებულია ხიშტებზე. „მაგრამ ახლოა დღე ანგარიშის გასწორებისა! — სწერდა კეცხოველი, — მრავლდება მუშათა ძალები, მათი სულიერი ერთობა თავზარს სცემს ძირმომპალ მთავრობას, და ბასრ ხიშტებს აღარ ძალუძთ შეაჩერონ ამ ერთობის გიგანტური ზრდა. მისი მომავალი უზრუნველყოფილია თვით ისტორიის მიერ".

კეცხოველის ეს ბრძნული და წინასწარმეტყველური სიტყვები მღელვარებით და უდიდესი სიყვარულით იკითხება. ეს იმ ადამიანის სიტყვებია, რომელმაც დაღვარა მთელი თავისი სისხლი უკანასკნელ წვეთამდე ლენინ-სტალინის დიადი საქმის გამარჯვებისათვის. ეს იმ ადამიანის სიტყვებია, ვინც თავისი მგზნებარე რევოლუციური ტემპერამენტით და ურყევი ნებისყოფით ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ შექმნა ის ძალა, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში დაამხო თვითმპყრობელობა, მოსპო კაპიტალიზმი.

„ბრძოლის" და სხვა არალეგალური გამოცემების—ბროშურების, პროკლამაციების, ფურცლების, — ბეჭდვასთან ერთად კეცხოველი დაუკავშირდა „ისკრის" საზღვარგარეთულ ცენტრს, ვ. ი. ლენინს, ბეჭდავდა, ამრავლებდა ბაქოს სტამბაში „ისკრის" ნომრებს, მოაწყო „ისკრის" შემოტანა უცხოეთიდან რუსეთში, თავრიზ-ბაქოს გზით.

დიდი რაოდენობა „ისკრის" ნომრებისა ვრცელდებოდა ბაქოს მუშებში. ჟანდარმები შეშფოთდნენ. ისინი გაფაციცებით დაეძებდნენ სტამბასა და ლადო კეცხოველს.

პოლიციის დეპარტამენტისადმი თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის მოხსენებიდან ვტყობილობთ:

„გასული წლის ბოლო თვეებში არალეგალურ გამოცემათა ბეჭდვის ადგილის დიდი ძებნის შემდეგ... ჩემდამი რწმუნებულ სამმართველოში შემოდიოდა აგენტურის დაჟინებითი მითითებანი იმაზე, რომ ყველა პროკლამაცია, ქართული არალეგალური ჟურნალი „ბრძოლა", რომელიც გასული წლის ბოლოს გაჩნდა და **თვით გაზეთი „ისკრაც"** იბეჭდება ქალაქ ბაქოში. ამასთანავე ამ არალეგალური წარმოების აქტიური მონაწილენიც იყვნენ დასახელებული: ვლადიმერ კეცხოველი, რომელსაც ჩვენ ვეძებთ და რომელიც უნდა იმალებოდეს დემეტრაშვილის გვარით..."

როგორც გამოცდილი კონსპირატორი, ლადო კეცხოველი გრძნობდა ჟანდარმების დაზვერვას. მან დააჩქარა დროებით სტამბის მუშაობის შეწყვეტა, რათა გადაეტანა იგი სხვა ქალაქში.

მაგრამ იმ ქალაქების პარტორგანიზაციებმა, რომელთაც კეცხოველმა მიმართა, ვერ შესძლეს მისთვის დახმარების გაწევა. მაშინ ლადომ გადასწყვიტა გამოეცვალა ბინა იმავე ბაქოში. მაგრამ დიდიხნით მან მაინც ვერ შესძლო თავის გადარჩენა. 1902 წლის 2 სექტემბერს კეცხოველი დააპატიმრეს.

საპყრობილეში ისევე როგორც მის გარეთ, ლადო კეცხოველს ერთი დღითაც არ შეუწყვეტია ბრძოლა.

ამავე დროს ჟანდარმები ჩქარობდნენ შეესვათ ამ მშფოთარე პატიმრის სისხლი.

ჟანდარმთა პატაკებიდან სავსებით ზუსტად დასტურდება, რომ კეცხოველთან ანგარიშის გასწორება ჩუმად მზადდებოდა და რომ ჯარისკაცი, რომელმაც საკნის ფანჯარაში თოფი ესროლა კეცხოველს, ასრულებდა თავისი უფროსების განკარგულებას.

ყურადღებას იპყრობს კეცხოველის მამის თხოვნა თბილისის გუბერნატორისადმი:

„ჩემამდე მოაღწია სამწუხარო ამბავმა, რომ ჩემი შვილი ვლადიმერი მოკლულია თბილისის მეტეხის ციხეში, სადაც ის პატიმრობაში იმყოფებოდა პოლიტიკური საქმის გამო.

ამის გამო უმორჩილესად ვთხოვ თქვენს აღმატებულებას გასცეს განკარგულება, რათა დამერთოს ნება მივიღო ციხის ადმინისტრაციისაგან მოკლულის ცხედარი, რომ ქრისტიანული წესით მივაბარო მიწას"...

ამ მორჩილ თხოვნაზე კეცხოველის მამამ ხელისუფალთაგან უარი მიიღო. ლადო კეცხოველი ჩუმად დაასაფლავეს.

საყვარელი ხელმძღვანელის ვერაგულად მოკვლამ დიდი აღშფოთება გამოიწვია თბილისისა და ბაქოს მუშებში.

ლადო კეცხოველის სახელი მათ არასოდეს არ დაუვიწყნიათ. ამ სტრიქონების დამწერს მოუხდა კავკასიაში მუშაობა 1904 წლის შემოდგომიდან 1905 წლის გაზაფხულამდე. არაერთხელ ჰქონია მას შემთხვევა გაეგო, რა დიდი სიყვარულით იგონებდნენ ბაქოს მოწინავე მუშები თავის ლადოს, რა ზიზღით და შურისძიების გრძნობით ინთებოდა მათი თვალები, როგორ იკუმშებოდა მათი მუშტები, როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა იმ ჯალათებზე, რომლებმაც შესწყვიტეს კეცხოველის მშვენიერი სიცოცხლე.

კეცხოველის მოკვლის შემდეგ პარტიის ბაქოს და თბილისის კომიტეტების მიერ გამოშვებულ პროკლამაციებში ნათქვამია: „ბევრი შეგვეძლო გვეთქვა, ამხანაგებო, თქვენთვის ამ კეთილშობილი მებრძოლის გასაოცარი მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ უნდა გადავდოთ ეს უფრო ბედნიერ დრომდე".

ეს ბედნიერი დრო დადგა. ხალხის საუკეთესო ადამიანების მიერ დაღვრილ სისხლს უქმად არ ჩაუვლია. ლენინ - სტალინის პარტიამ გაიმარჯვა უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მას ჰყავდა ისეთი მამაცი, მედგარი და თავდადებული მებრძოლები, როგორიც კეცხოველი იყო. დაე ამ უშიშარი რევოლუციონერის სახე გახდეს მაგალითი ჩვენი ახალგაზრდობისათვის, მაგალითი, რომელიც მოუწოდებს მას სოციალიზმის საქმის უსაზღვრო ერთგულებისაკენ, მამაცობისა, თავდადებისა და უშიშროებისაკენ ჩვენი სამშობლოს დასაცავად და მთელ მსოფლიოში ლენინ - სტალინის საქმის საბოლოო გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

# პარტიული ცხოვრება

## პარტკომების მდივნებისა და პარტორგების რაიონული თათბირი

მრავალმხრივ საინტერესო და ნაყოფიერი იყო ამასწინათ 26 კომისრის რაიკომის სხდომათა დარბაზში გამართული პარტკომების მდივანთა და პარტორგთა რაიონული თათბირი.

რა გააკეთეს და რას აკეთებენ პარტიული ორგანიზაციები საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ პარტიის ზრდის საკითხში? როგორ იბრძვიან საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რა მუშაობას აწარმოებენ პარტკომების მდივნები და პარტორგები პარტიის რეზერვების ბოლშევიკურად აღზრდისათვის?

პარტიის წევრობის კანდიდატებთან, თანამგრძნობებთან, კომკავშირთან და უპარტიო აქტივთან სამაგალითოდ მუშაობის გამოცდილების გაცნობა და შესწავლა იყო ამ თათბირის ძირითადი დანიშნულება.

[illegible]

გვყავდას პარტიის წევრობის ისეთი კანდიდატები და თანამგრძნობები, რომლებიც უკვე პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან, მოხსენებებს აკეთებენ.

ამის შემდეგ თათბირი ამავე საკითხზე ისმენს ტრამვაის პარკის პარტკომის მდივნის ამხ. ბარსელოვისა და არტელ „რაშის" პარტორგანიზაციის ხელმძღვანელის ამხ. ჯანყარაშვილის მოხსენებებს. უნდა ითქვას, რომ არცერთ მათგანის (ბარსელოვის და ჯანყარაშვილის) გაკეთებული მოხსენება არ უპასუხებდა ამ თათბირზე დასმულ საკითხს. ამხ. ბარსელოვმა ბევრი ილაპარაკა ტრამვაის პარკის პარტორგანიზაციის მუშაობაზე. მოიყვანა ციფრები, თუ რამდენი კაცი მიიღეს თანამგრძნობთა ჯგუფში, რამდენი პარტიაში. ჩამოსთვალა პარტიაში მიღებულთა გვარები, მაგრამ თათბირს დეტალურად ვერ მოუთხრო, თუ როგორ მუშაობს ის პარტიის რეზერვებთან. როგორ ზრდის თვითეულ თანამგრძნობს, როგორ იზიდავს ან როგორ ატარებს მუშაობას უპარტიო აქტივისტებთან და კომკავშირელებთან მათი პარტიაში მისაზიდად.

ამხ. ბარსელოვი შეეცადა ეამბნა თათბირისათვის კონკრეტულად ცალკეულ თანამგრძნობთან მუშაობაზე. მან დაასახელა ამხ. საგანელი-ძე და კუჭაიძე, რომლებიც ახლად მიუღიათ პარტიის წევრობის კანდიდატებად, დაიწყო მათი დახასიათება. „ისინი აქტივისტები იყვნენ, — ამბობს პარტკომის მდივანი — აგიტატორობაში ნიჭი გამოიჩინეს, პროპაგანდისტებად დავაწინაურეთ. შემდეგ პარტიაშიც მივიღეთ".

— რას კითხულობენ მხატვრული ლიტერატურიდან თქვენი თანამგრძნობები და კანდიდატები?—შეეკითხნენ მას.

პარტკომის მდივანი დაიბნა, ამ საკითხზე არეულად უპასუხა, მაგრამ როდესაც თათბირმა დაჟინებით მოსთხოვა კონკრეტული პასუხი მოგვეცით, განაცხადა: „კითხულობენ ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი" და..." მეტი ვერაფერი მოიგონა. გამოირკვა, რომ მან არ იცის და არც არას-

[illegible]

26 კომისრის რაიკომის მდივნები ამხ. ს. მილშტეინი და ვ. სიხარულიძე.

ამხ. მილშტეინმა მიუთითა პარტორგანიზაციებს, რომ ისინი არასაკმაო ყურადღებასა და ხელმძღვანელობას უწევენ პარტიულ რეზერვებთან პოლიტ - აღმზრდელობით მუშაობას.

ამხ. მილშტეინმა გააკრიტიკა ამ თათბირზე კამათში გამოსული ამხ. ოჰანეზოვის (მაკარონის ფაბრიკის პარტკომის წევრი) სიტყვა. ოჰანეზოვის აზრით საჭიროა ყოველთვიურად შესდგეს პარტიაში მისაღებთა სია, პარტკომმა ამ სიით განსაზღვრულ ამხანაგებთან უნდა აწარმოოს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა და სხვებს ყურადღება არ მიაქციოს.

პარტიის რიგებში მისაღებ ამხანაგების საკონტროლო ციფრების დაწესება პარტიული წესდების დამახინჯებაა, რაც ძირშივე უნდა იქნას აღკვეთილი.

ყველა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, პარტიის რეზერვებთან პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის ამხ. მილშტეინმა თათბირს დაუსახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი.

**ალ. გვინჩიძე**

## პარტორგანიზაცია რაიკომის ხელმძღვანელობის გარეშე

თელავის რაიონის წინანდლის საბჭოთა მეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში ირიცხება პარტიის 20 წევრი და 5 კანდიდატი. თანამგრძნობთა ჯგუფში 9 კაცია, ხოლო კომკავშირის პირველადს ორგანიზაციაში 61 კაცი ირიცხება.

ერთი შეხედვით გეჩვენებათ, თითქოს პარტიულ მუშაობაში აქ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ როდესაც გულდასმით შეამოწმებთ ორგანიზაციას, დარწმუნდებით, რომ პარტიული მუშაობა მოდუნებულია და არ უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რაც ჩვენს წინაშე დააყენეს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გასული წლის თებერვალ-მარტის და მიმდინარე წლის იანვრის პლენუმებმა.

პარტიული კრებები ნაკლებად მომზადებული ტარდება. დღის წესრიგში ხანდახან აყენებენ 5-ზე მეტ საკითხს, რაც კრებების დიდ ხანგრძლივობას იწვევს და მოსაწყენს ხდის მათ. პარტიული კრებების მომზადებაში ჩაბმული არ არის ყველა კომუნისტი და ამის გამო კრება ხშირად დანიშნულ დროზე არ იწყება.

რაიონის პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც მაისში ჩატარდა აღნიშნა ეს ნაკლოვანებანი. წინანდლის საბჭოთა მეურნეობის პარტკომს (მდივანი — ამხ. მ. ბექუაშვილი) საკმაო დრო ჰქონდა გამოესწორებინა კონფერენციის მიერ აღნიშნული ნაკლოვანებანი, მაგრამ მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამეა გაკეთებული.

პარტიაში ახალ წევრთა მიღების საქმე სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. სამი თვის განმავლობაში პირველადმა პარტორგანიზაციამ პარტიაში მიიღო მხოლოდ 4 კაცი, ოთხივე მოსამსახურე. ეს იმ დროს, როდესაც მეურნეობაში 500-ზე მეტი მუშაა, აქედან 61 კომკავშირელი. ამ ოთხი მიღებულიდანაც რაიკომის მიერ არცერთი არ არის დამტკიცებული. თუმცა ანკეტები გადაუგზავნიათ რაიკომში, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი სწორად არ იყო შევსებული, ისევ უკან დააბრუნეს. ამრიგად, სამი თვის განმავლობაში ფაქტიურად არცერთი კაცი არ არის მიღებული პარტიის რიგებში.

ასევე უნდა ითქვას თანამგრძნობთა შორის მუშაობაზე. როგორც უკვე აღინიშნა თანამგრძნობად მიღებული ჰყავთ 9 კაცი, აქედან 5 მუშაა. არსებობს ყოველგვარი პირობები, რომ თანამგრძნობთა რიგები გაიზარდოს სტახანოველ მუშათა ხარჯზე (მეურნეობაში 118 სტახანოველი ითვლება).

ამ ორგანიზაციაში პარტიული სწავლება ფაქტიურად ჩაშლილია. პარტისტორიის შემსწავლელ წრეში ჩაბმული იყო 9 კაცი და ნორმალური ტიპის პოლიტწრეში — 11. პროპაგანდისტი ამხ. ალ. ენუქაშვილი, რომელიც ამეცადინებდა პარტისტორიის შემსწავლელ წრეს, ხშირად აცდენდა მეცადინეობას. 1937 წლიდან დღემდე არ მომხდარა ამ წრის მუშაობის შემოწმება. მას შემდეგ, რაც ამხ. ენუქაშვილი პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად გადაიყვანეს, წრეში მეცადინეობა შეწყდა და არც მსმენელთა გამოშვება მომხდარა. ბოლოს როგორც იქნა, გამოჰყვეს პროპაგანდისტად ამხ. ჩიკვილაძე, რომელმაც დღემდე მხოლოდ ერთი საუბარი ჩაატარა, ისიც „შესავალის" სახით.

კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაშია ნორმალური ტიპის პოლიტსკოლა. პროპაგანდისტი ამხ. შ. ფირანაშვილი სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდა. მან ეს სკოლა მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრედ გადააქცია. სკოლას დამუშავებული აქვს პარტიისა და ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულება, პროგრამის მიხედვით კი არცერთი თემა არ არის დამუშავებული.

ნორმალური ტიპის პოლიტსკოლაში სამ თვეზე მეტია, რაც მეცადინეობა არ ჩატარებულა. პროპაგანდისტი შ. ფირანაშვილი გაუთავისუფლებიათ, ხოლო სამაგიერო დღესაც არაა გამოყოფილი. ამრიგად, საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციაში პარტიული სწავლება ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას.

ჩამორჩენა და ნაკლი მარტო ამაში როდია. მოწესრიგებული არ არის აგრეთვე პარტიული მეურნეობა. პარტკრებების ოქმები გაუგებრად არის ნაწერი, დაუნომრავია და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, ამხ. მ. ბექუაშვილი ერთი წელიწადია პარტკომის მდივნად მუშაობს, მაგრამ მას დიდი დახმარება ესაჭიროება რაიკომისა და მისი ინსტრუქტორის მხრით. ამ დახმარებას კი იგი მოკლებული იყო.

ამხ. ბექუაშვილმა პირდაპირ განაცხადა „გასაგებია, რომ ჩემს მუშაობას მეტად სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. ამის შესახებ არაერთხელ განვაცხადე რაიკომში. რაიკომის ინსტრუქტორ ამხ. ენუქაშვილს ერთხელაც არ მიუთითებია რაიმე სამუშაოზე, ერთხელაც არ მოუცია დარიგება".

ასეთ ძლიერ საბჭოთა მეურნეობაში პარტიული მუშაობის ჩამორჩენა რაიონული ორგანიზაციების სუსტი ხელმძღვანელობის შედეგია. ყოველგვარი პირობები მოიპოვება მეურნეობაში მუშაობა სანიმუშოდ მოეწყოს, რომ ამ ორგანიზაციის მაგალითზე სწავლობდნენ მეზობელი საკოლმეურნეო პარტორგანიზაციები. მაგრამ ამისათვის საჭიროა საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომი ჯერ თვით ამ პარტორგანიზაციას დაეხმაროს მუშაობის გარდაქმნაში.

**არ. კოკილაშვილი**

## თათბირი თანამგრძნობთა შორის მუშაობის გარდაქმნის შესახებ

16 აგვისტოს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგა პარტკომთა მდივნების, პარტორგების და მათი მოადგილეების რაიონული თათბირი თანამგრძნობთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

თათბირი გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. კვაჭაძემ.

აღნიშნულ საკითხზე მოსმენილ იქნა ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის პირველადი პარტორგანიზაციის პარტკომის მდივნის ამხ. მიზრახინის, ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის პარტკომის მდივნის მოადგილის ამხ. მანუკოვის და კალინინის სახელობის ქარხნის პარტკომის მდივნის მოადგილის ამხ. მელქონიანის მოხსენებები.

მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. შუბლაძემ, ესაკიამ, მამულაიშვილმა გუგუშვილმა და სხვ.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა სტალინის რაიკომის მდივანი ამხ. გ. კიკაჩეიშვილი, მან გააკრიტიკა მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა თანამგრძნობებთან.

თათბირის მუშაობის შედეგებს განიხილავს რაიკომის ბიურო, რომლის გადაწყვეტილებები სახელმძღვანელოდ დაეგზავნება პირველადს პარტორგანიზაციებს.



სცენა „აბესალომ და ეთერის" მე-2 მოქმედებიდან. დადგმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის—ორდენოსან შ. ახსაბაძისა, მხატვარი—ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე—ორდენოსანი ი. გამრეკელი.

ფოტო „სოიუზფოტოსი"

## წითელწყაროს რაიონი

ამ რამდენიმე დღის წინათ, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის დადგენილების საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი რაიონი—წითელწყაროს რაიონი. ის განაყოფია სიღნაღის რაიონისა, რომელიც საქართველოში ერთერთ ყველაზე დიდ, ეკონომიურად მძლავრ და კულტურულ რაიონს წარმოადგენს.

ძველი უკულტურო, ჩამორჩენილი ქიზიყის სახე ძირფესვიანად შეიცვალა. სწრაფი ტემპით წავიდა წინ სიღნაღის სამეურნეო-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარება. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებას მოჰყვა მიწის ახალი მასივების ათვისება. ალაზნის დაჭაობებული და დაავადებული უნაყოფო მინდვრები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გადაიქცა ნოყიერ სათეს ნიადაგად. ამ მინდვრებზე ქიზიყის გლეხობას ყოველწლიურად მოჰყავს უხვი მოსავალი, აქ გაშენებულია მშვენიერი ვენახები, სთესენ ტექნიკურ კულტურებს, თამბაქოს, რამს და სხვ.

უკანასკნელი წლების განმავლობაში სიღნაღის რაიონში თვალსაჩინოდ გაიზარდა ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობი, გაიზარდნენ და განმტკიცდნენ ბოლშევიკური კოლმეურნეობები, თვითეული კოლმეურნეობა ახლა წარმოადგენს მსხვილ მეურნეობას, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების საფუძველზე სამუდამო სარგებლობაში გადაეცა მიწის დიდი ფართობი, ისინი უზრუნველყოფილი არიან სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით.

პარალელურად, სიღნაღის რაიონში დაიწყო ნავთის წარმოების განვითარება, რომელსაც დიდი პერსპექტივები აქვს. გამრავლდნენ ადგილობრივი მრეწველობის ახალი საწარმოები და კულტურული დაწესებულებანი:—სკოლები, თეატრები, კლუბები. ფართოდ გაიშალა საავადმყოფოებისა და საექიმო პუნქტების ქსელი. აქედან გასაგებია, რომ რაიონის ასეთი ზრდა აძნელებდა რაიონულ ხელმძღვანელთა მუშაობას ადგილებზე. რაიონული ცენტრი, რომელიც მოთავსებული იყო სიღნაღში, რა თქმა უნდა, ვერ უზრუნველჰყოფდა ამ დიდი რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, ყველა ობიექტს ჯეროვანი ოპერატიულ - კონკრეტული ხელმძღვანელობით. სწორედ დროული იყო საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილება სიღნაღის რაიონის ორ რაიონად გაყოფის შესახებ.

წითელწყაროს რაიონის წინაშე უდიდესი პერსპექტივებია გადაშლილი. ახალ რაიონში არის 8 სასოფლო საბჭო, 23.467 მცხოვრებით, 30 კოლმეურნეობაში (რომლებიც წითელწყაროს რაიონში შედის) გაერთიანებულია 5.628 მეურნე.

წითელწყაროს რაიონში შემავალი სასოფლო საბჭოებია:—წითელწყარო, ზემო და ქვემო-ქედი, წითელი საბათლო, მირზაანი, არბოშიკი, ზემო-მაჩხაანი, და ძველი ანაგა. სიღნაღის რაიონში რჩება შემდეგი სასოფლო საბჭოები: სიღნაღის, ანაგის, ვაქირის, საქობოს, ქვემო-მაჩხაანის, ბოდბისხევის, ჯუგაანის, ნუკრიანის, მაღაროს, ბოდბესი და ულიანოვკის.

წითელწყაროს რაიონის საერთო ფართობი 260.922,5 ჰექტარს უდრის, აქედან სახნავ-სათესი მიწების ფართობი 34.891 ჰექტარია, ვენახებისა—272 და თამბაქოსი—178 ჰექტ. გარდა ამისა, წითელწყაროს რაიონში არის ორი დიდი საბჭოთა მეურნეობა — ელდარის მეცხოველეობისა და ალაზნის რამის საბჭოთა მეურნეობები, და ორი სამანქანო-სატრაქტორო სადგური.

შირაქის ნავთის მრეწველობა წითელწყაროს რაიონის სამრეწველო განვითარებას დიდ პერსპექტივებს უქმნის. მიმდინარე წელს შირაქში ამოღებულ უნდა იქნას 12.400 ტონა ნავთი, ნავთის სამუშაოების წარმოებისათვის გათვალისწინებულია 15 მილიონი მანეთი.

ახალი რაიონის ახალმა ხელმძღვანელობამ ყოველგვარი ღონისძიება უნდა მიიღოს იმისათვის, რომ ეს დავალება, როგორც ნავთის ამოღების, ისე ახალი საბადოების ძებნის საქმეში ნამდვილად იქნას განაღდებული.

უახლოეს დღეებში რაიონულმა ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველჰყოს მოსავლის აღებისა და გალეწვის დამთავრება მაღალი ხარისხით, თამბაქოს დროზე აღება და მზადყოფნა რთველისათვის.

სიღნაღის რაიონში ხელმძღვანელ პოსტებზე მოკალათებულმა ხალხის ამჟამად გამომჟღავნებულმა და განადგურებულმა მტრებმა თავიანთი მავნებლური მუშაობით დიდი ზიანი მიაყენეს ამ რაიონში სახალხო მეურნეობის ყველა დარგს. წითელწყაროს რაიონში ჯერ კიდევ მთელი რიგი საწარმოები და კოლმეურნეობები სუსტად იბრძვიან მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის. რაიონის ახალმა ხელმძღვანელობამ უნდა გაშალოს მუშაობა ამ მხრივ. ის უნდა დაეხმაროს ძირეულ ორგანიზაციებს მავნებლობის შედეგების აღმოფხვრის საქმეში და პოლიტმასობრივი და სამეურნეო - ორგანიზაციული მუშაობის სწორად დაყენებით უზრუნველჰყოს ახალი აღმავლობა სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე.

### „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

## „სუსტად ემზადებიან"

„კომუნისტის" 10 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით: „სუსტად ემზადებიან". კორესპონდენციის ავტორი აღნიშნავდა, რომ მზადება ახალი სასწავლო წლისათვის ქობულეთის რაიონში მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. რაიონის ზოგიერთ სასოფლო საბჭოს დღემდე პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია სასკოლო შენობების რემონტისა და ინვენტარის წესრიგში მოყვანისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანი ამხ. ა. მელაძე გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა, რაიკომის ბიურომ მოისმინა სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი. გამორკვეამ ნათელჰყო, რომ მთელ რიგ სკოლებში რემონტი დაწყებული არ იყო, ზოგიერთ სკოლაში მიმდინარე რემონტი ნელი ტემპით სწარმოებდა, ზოგიერთ სკოლაში კი ჩატარებული რემონტიც დაბალი ხარისხისა იყო.

განათლების განყოფილების გამგე ამხ. პ. ჯინჭარაძე კმაყოფილდებოდა ადგილებიდან მოწოდებული ფიქტიური ცნობებით და ეყრდნობოდა რა ამ ცნობებს, ისეთ სკოლებს სთვლიდა მომზადებულად, რომლებშიაც რემონტი დაწყებულიც არ იყო. რაიკომის ბიურომ, განიხილა რა ეს საკითხი, განათლების განყოფილების გამგეს ამხ. პ. ჯინჭარაძეს სასკოლო რემონტის წარმოებაზე არაოპერატიული ხელმძღვანელობისათვის გამოუცხადა საყვედური, დასახულ იქნა ღონისძიებები სასკოლო რემონტის უახლოეს ვადაში ჯეროვანი ხარისხით დამთავრებისათვის.

**ნ. მაისურაძე** — თბილისის საოპერო თეატრის დირექტორი

## თბილისის საოპერო თეატრის გასტროლები ლენინგრადში

26 აგვისტოს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი იწყებს თავის გასტროლებს ლენინგრადში.

ქართული საოპერო თეატრის ლენინგრადში გამგზავრება, პარტიისა და ხელისუფლების მორიგი ღონისძიებაა დიადი საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის; აქედან ქართულ საოპერო ხელოვნებას შეუძლია დიდი გამოცდილების მიღება შემდგომი შემოქმედებითი მუშაობისათვის. ჯერ კიდევ მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადის დროს 1937 წლის იანვარში ჩვენმა თეატრმა მიიღო მიპატიჟება—მოეწყო გასტროლები ლენინგრადში, მაგრამ ამ წინადადების რეალიზაცია მაშინ ვერ მოხერხდა. ახლა კი საქართველოს საოპერო თეატრს აქვს საშუალება ესტუმროს ლენინის ქალაქს და უჩვენოს მის მშრომელთ თავისი საუკეთესო დადგმანი.

ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალების ნამდვილი გაფურჩქვნა დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ. შემოქმედების ამ მძლავრმა აღმავლობამ საქართველო გამოიყვანა დიადი საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა რიგში.

წარსულში ცარიზმის კოლონია, დაბეჩავებული და უუფლებო ქვეყანა, საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად. მუშათა კლასის გმირულმა ბრძოლამ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით სახე შეუცვალა მთელ ჩვენ ქვეყანას. ამ აღორძინების ერთერთი ყველაზე მკაფიო მაჩვენებელია ქართული ხელოვნების ბრწყინვალე განვითარება. „საქართველო—ეს დედამიწის ერთერთი უბედნიერესი კუთხეა, აღსავსე ბუნებრივი სიმდიდრით და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მდიდარი ადამიანებით, რომელთა ნიჭი ბრწყინავს საქართველოში, ამიერ-კავკასიაში და მთელს საბჭოთა კავშირში" (მოლოტოვი).

ქართველმა ხალხმა, სანამ დღევანდელ უმაგალითო აღორძინებამდე მივიდოდა, თავისი ისტორიის მრავალი მძიმე საუკუნე განვლო. ქართველი ხალხი ერთერთი უძველესი ხალხია. „ქართული კულტურის ისტორია ათასეულ წლებს ითვლის. უდავოდ დამტკიცებულია, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნით ადრე ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე ქართველი ტომები დასახლებული იყვნენ შავი ზღვის სანაპიროების აღმოსავლეთ ნაწილში და მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ძველ საბერძნეთთან. ქრისტიანობა საქართველოში თითქმის ერთდროულად განვითარდა რომის იმპერიასთან ერთად. მაშასადამე, უკვე იმ დროს საქართველო აღჭურვილი იყო მოწინავე კულტურით" („პრავდა").

ქართველი ხალხი ასეული წლის მანძილზე შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა უცხო დამპყრობელებთან და შინაურ ექსპლოატატორებთან. მაგრამ ვერც უცხო ურდოების თავდასხმამ, ვერც დამპყრობთა ჩაგვრამ ვერ გასტეხეს ქართველი ხალხის ნებისყოფა. საუკუნეთა განმავლობაში შეინარჩუნა მან თანდათან დაგროვილი კულტურა და უქცნობად მოიტანა ჩვენამდე თავისი ხელოვნების სილამაზე და მიმზიდველობა.

ქართული თეატრი პირველად მიემგზავრება ლენინგრადში. რევოლუციის ჩრდილოეთ ფორპოსტის მშრომელებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ქართველი ხალხის ნაციონალურ ოპერას. ჩვენ თან მიგვაქვს ხელოვნება, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ გაქანებას შეიძლება მიაღწიოს დიდი რუსი ხალხის დახმარებით განთავისუფლებული ხალხის შემოქმედებითმა ნიჭმა, — ხალხისა, რომელიც ახლა ამაყად მიდის ლენინ - სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით კომუნიზმისაკენ.

როგორც დრამატიული ხელოვნება, ქართული ოპერაც თავისი გაფურჩქვნის პერიოდში შევიდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. თბილისის საოპერო თეატრი, რომელიც ოთხმოცზე მეტი წლის არსებობას ითვლის, მეფის სატრაპებისა და შემდეგ მენშევიკების ბატონობის დროს არათუ არ წარმოადგენდა სერიოზულ სამხატვრო ორგანიზმს, არამედ არსებითად ნაციონალური თეატრიც კი არ იყო. ქართველი ხალხის უმდიდრესი მუსიკალური განძი საუკუნეთა მანძილზე ხელუხლებელი რჩებოდა. ხალხის ფართო მასა მოწყვეტილი იყო საოპერო ხელოვნებას, ეგრეთწოდებული სახაზინო თეატრი კი თავის მხრით ყოველნაირად ემიჯნებოდა ყოველივე ნაციონალურს. საკმაოა ვსთქვათ, რომ მეფის მთავრობის დროს თბილისის საოპერო თეატრის შემადგენლობაში მხოლოდ ერთი-ორი ქართველი იყო, ახლა კი მთელი კადრები ადგილობრივია. თბილისის ოპერის თითქმის მთელი შემოქმედებითი კოლექტივი — დირიჟორები, დამდგმელები, მხატვრები, მომღერალი სოლისტები, ბალეტის მსახიობები,— ყველა, მცირედი გამონაკლისით, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში აღზრდილი კადრებია.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, ლენინურ - სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო ქართული მუსიკალური ხელოვნების სწრაფი აყვავება. ქართულმა საოპერო თეატრმა დიდ წარმატებას მიაღწია, იგი საბჭოთა კავშირის საუკეთესო თეატრების რიგში ჩადგა. თეატრის ლენინის ორდენით დაჯილდოვება ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია.

მთავრობის უმაღლესი საჩუქრით აღფრთოვანებულს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს ბევრი რამის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ხალხის მტრებმა, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც თვით თეატრში, ისე ხელოვნების საქმეთა სამმართველოში, გააკეთეს ყველაფერი, რომ ჩაეშალათ თეატრის მუშაობა, ჩაექროთ კოლექტივის შემოქმედებითი ენთუზიაზმი, მაგრამ ამის ბოლომდე მიყვანა მათ ვერ შესძლეს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა გამობრძმედილი ბოლშევიკის, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობით გაანადგურეს ხალხის მტრები ხელოვნების ფრონტზეც და ამით გასწმინდეს გზა ნაყოფიერი მუშაობისათვის, ჩვენი თეატრის ნიჭიერი კოლექტივის შემოქმედებითი ინიციატივის კიდევ უფრო ფართოდ გაშლისათვის. მაგრამ მუშაობა მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის ჯერ კიდევ წინ გვიძევს. შეგნებული აქვს რა ეს, თეატრის მთელი კოლექტივი არ კმაყოფილდება გაკეთებულით და აღსავსეა მონდომებით, რათა მომავალ სეზონშივე ძირფესვიანად გარდაქმნას მუშაობა, დააკმაყოფილოს მშრომელთა ფართო მასების გაზრდილი კულტურული მოთხოვნილება, უჩვენოს მათ ორიგინალური ნაციონალური ოპერები, საბჭოთა კომპოზიტორების და აგრეთვე რუს და ევროპელ კლასიკოსთა საუკეთესო ნაწარმოებები.

რეპერტუარი ლენინგრადის გასტროლებისათვის მთლიანად შერჩეულია მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადის რეპერტუარიდან, დამატებულია ოპერა „ლატავრა" და ბალეტი „მალთაყვა", რომლებიც არ ყოფილა ნაჩვენები მოსკოვში. ლენინგრადელი მაყურებლები ნახავენ კლასიკურ ოპერებს — უდიდესი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის საუკეთესო ნაწარმოებებს — „აბესალომ და ეთერს" და „დაისს", ამავე ავტორის უკანასკნელ ოპერას — „ლატავრას" და ქართული საოპერო ხელოვნების ერთერთი ფუძემდებლის — კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძის ოპერას „დარეჯან ცბიერს".

გარდა ამისა, საგასტროლო რეპერტუარში შეტანილია უდროოდ გარდაცვალებულის ნიჭიერი კომპოზიტორის ვიქტორ დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე", აგრეთვე პირველი ჩვენი ბალეტი საბჭოთა თემაზე — „მალთაყვა", მუსიკა კომპოზიტორ შალვა თაქთაქიშვილისა.

ქართული მუსიკა ღრმად თავისებურია, მაგრამ ეს თავისებურება, რომელიც მას ესოდენ მიმზიდველობას აძლევს, არასოდეს ეროვნული კარჩაკეტილობისათვის არ გამოუყენებიათ ქართველ კომპოზიტორებს. მჭიდროდ დაკავშირებული სასიმღერო ფოლკლორთან, ღრმად შეჭრილი ხალხურ შემოქმედებაში, ქართული ოპერა არ ჩაკეტილა თავის ნაჭუჭში. ის ყოველთვის ცდილობდა ფართოდ გამოეყენებინა რუსული ოპერის მდიდარი გამოცდილება, იზრდებოდა რუსული საოპერო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებზე.

ქართველ კომპოზიტორთა და მსახიობთა მუშაობაში იგრძნობა მჭიდრო კავშირი მუსიკისა და თეატრის რუს და უცხოელ კლასიკოსებთან. კულტურების ურთიერთ ზემოქმედება და ორგანული კავშირი ხალხური შემოქმედების წყაროებთან— ასეთია ქართული ხელოვნების გზა.

ჩაშ, 26 აგვისტოს, ჩვენ ავწევთ ფარდას, რათა ვუჩვენოთ ლენინგრადის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და ლენინის ქალაქის მშრომელთ ქართველი ხალხის მიერ შექმნილი საოპერო ხელოვნება. ჩვენი ხელოვნება, რომელიც ხალხის კუთვნილებას შეადგენს, გამოხატავს მის საუკეთესო მისწრაფებებს, მხატვრული სახეებით გვიჩვენებს მის გმირულ საქმეებს. შემთხვევითი როდია, რომ მთელი შინაარსი ოპერა „დაისისა", რომლითაც იწყება ქართული საოპერო თეატრის გასტროლები ლენინგრადში, შექმნილია გენიალური შოთა რუსთაველის შესანიშნავი აფორიზმის საფუძველზე:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი".

ეს სიტყვები საუცხოოდ გამოხატავენ სიმამაცისა და გმირობის სულს, რომლითაც გამსჭვალულია ქართველი ხალხი.

ერთი თვის განმავლობაში ქართული მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები უჩვენებენ ლენინგრადის მაყურებლებს თავის ოსტატობას. პირველად მოისმენენ ისინი ქართულ საოპერო მუსიკას — გულის სიღრმემდე ჩამწვდომ მელოდიებს, მძლავრ საგუნდო ნომრებს, წარმტაც არიებს, ნახავენ შესანიშნავ ქართულ ცეკვებს: მთიულურს, ლეკურს, დავლურს, ბაღდადურს, კინტოურს.

საოპერო სპექტაკლებში ლენინგრადელი მშრომელები მოუსმენენ ქართველ მომღერლებს — ორდენოსან ეკ. სოხაძეს, ნ. ცომაიას, ტ. შარატა-დოლიძეს, ნ. ხარაძეს, მ. ნაკაშიძეს, დ. ანდღულაძეს, ნ. ქუმსიაშვილს, ს. ინაშვილს, პ. ამირანაშვილს, დ. გამრეკელს, ლ. კავსაძეს, ლ. ისეცკის, მ. ყვარელაშვილს, აგრეთვე ახალგაზრდა მომღერლებს ბ. კრაველიშვილს, გ. ყიფიანს, გ. ლომიძეს, თ. ლაფიაშვილს, თ. ჩხაიძეს, დ. მირცხულავას (დირიჟორი) და სხვებს.

ისინი მოისმენენ ჩვენი საოპერო თეატრის ორკესტრს, რომელსაც ხელმძღვანელობენ ნიჭიერი დირიჟორი, შ. აზმაიფარაშვილი და ახალგაზრდა ნიჭიერი დირიჟორი ო. დიმიტრიადი.

ისინი ნახავენ ორდენოსან რეჟისორების ა. წუწუნავას, შ. ახსაბაძის, და კ. პატარიძის დადგმებს, ქართველი მხატვრების: ორდენოსანი ი. გამრეკელის, ს. ქობულაძის, დ. ძნელაძის, თ. აბაკელიას ნამუშევარს.

ლენინგრადელები გაეცნობიან ქართველ მოცეკვავეებს — ორდენოსნებს ლილი გვარამაძეს, ი. სუხიშვილს, ს. ნონიაშვილს, გ. ბარხუდაროვს, ბალეტის არტისტებს ლიტვინენკოს, ბაუერს, ვოინოვას, საფაროვას, ბუშინსკაიას ჩიხლაძეს, მატკავას, ჩახავას, ბაგრატიონს და სხვებს.

ვითვალისწინებთ რა ლენინგრადში გამგზავრების განსაკუთრებით სერიოზულ პოლიტიკურ მნიშვნელობას, ჩვენი თეატრის მთელმა კოლექტივმა დიდი მუშაობა შეასრულა დადგმებზე, რათა რაც შეიძლება სრულად ასახოს სპექტაკლებში ქართველი ხალხის მუსიკალური შემოქმედების მთელი სიმდიდრე, მისი მაღალი თეატრალური კულტურა.

აღფრთოვანებული პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით, საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის **ამხანაგ ლავრენტი ბერიას** ყურადღებითა და ყოველდღიური ხელმძღვანელობით, თბილისის საოპერო თეატრი გაბედულად მიემგზავრება საგასტროლოდ, რათა ანგარიში ჩააბაროს ლენინის ქალაქის მშრომელთ თავის მუშაობაში.

# როგორ ამზადებენ იაპონელი პროვოკატორები „ინციდენტებს"

ტოკიო, 14 აგვისტოს (ტასსი). [illegible]

# საომარი მოქმედება ჩინეთში

[illegible]

# ჩეხოსლოვაკელი ხალხი მზად არის დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა

პრაღა, 15 აგვისტო (ტასსი). [illegible]

# ინგლისის პრესა ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმისათვის გერმანიის მზადების შესახებ

ლონდონი, 15 აგვისტო (ტასსი). [illegible] რივი სარდლობის ინიციატივით; ხოლო თუ ამ სახელმწიფოების მხრით [illegible] ველი ლახვარი ჩასცენ ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ძალებს.



ქვიშხეთის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა ბანაკის ერთერთი კუთხე.
ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

# დოლის შემოდგომის სეზონი

16 აგვისტოს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გაიხსნება დოღის შემოდგომის სეზონი.

დოღში მონაწილეობას მიიღებენ: ვოროშილოვის სახელობის, მუხროვანის, ყულარის, „ვოსხოდის", ძერჟინსკის სახელობის აზერბაიჯანისა და სხვა ცხენთსაშენების წმინდასისხლიანი ცხენები. შემოდგომის სეზონის მეორე ნახევარში თბილისში ჩამოიყვანენ საქართველოს ჯიშიან ცხენებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საკავშირო შეჯიბრებაში მოსკოვის სახელმწიფო იპოდრომზე. მათ შორის იქნება „ნატანები", რომელმაც მიმდინარე სეზონში მოსკოვის იპოდრომზე ბევრჯერ მოიპოვა გამარჯვება და საგრძნობლად გაუსწრო საზღვარგარეთიდან ჩამოყვანილ ჯიშიან ცხენებს.

მ. ს.

# ალპინისტური ლაშქრობა

ალკკ 20 წლისთავის აღსანიშნავად ქუთაისის სპორტსაზოგადოება „მეცნიერებამ" ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად მოაწყო ალპინისტური ლაშქრობა ყაზბეგზე.

ლაშქრობა დაიწყო 10 აგვისტოს ქ. ონიდან, რაჭა-ოსეთ-მთიულეთის-ქოთანთოს და ხორისრის გადასავლების გავლით. ლაშქრობის მონაწილენი 15 აგვისტოს ჩავიდნენ ყაზბეგს. ხუთი დღის განმავლობაში ფეხით გაიარეს 180 კილომეტრი. ლაშქრობაში მონაწილეობს 22 კაცი.

# ამინდი

15 აგვისტოს დასავლეთ საქართველოში მოწმენდილი და მშრალი ამინდი იყო, დღისით ყველაზე დაბალი ტემპერატურა (29 გრადუსი) აღნიშნული იყო წიფაში, ყველაზე მაღალი (38 გრადუსი) — ქედაში.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველგან მოწმენდილი და მშრალი ამინდი იყო. დღისით ყველაზე დაბალი ტემპერატურა (22 გრადუსი) აღნიშნული იყო გუდაურში, ყველაზე მაღალი (35 გრადუსი)—თბილისში.

დღეს თბილისის მიდამოებში მოსალოდნელია მცირე მოღრუბლულობა, სიმშრალე, სუსტი ქარი, ტემპერატურა 20 გრადუსიდან ღამით 35 გრადუსამდე დღისით.

# ოპერის თეატრის გამგზავრება

დღეს, 17 აგვისტოს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი სპეციალური მატარებლით საგასტროლოდ მიემგზავრება ლენინგრადში.

თეატრს თან მიაქვს ხუთი ოპერა — „აბესალომ და ეთერი", „დაისი" „დარეჯან ცბიერი", „ლატავრა", „ქეთო და კოტე" და ბალეტი „მალთაყვა". სულ მიემგზავრება 400-მდე კაცი.

# მზადება ლენინგრადში

ლენინგრადი, (საკ. კორ.). თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის გასტროლები ლენინგრადში დაიწყება 26 აგვისტოს ს. მ. კიროვის სახელობის დიდი საოპერო თეატრის შენობაში. აქ გაიმართება 3 სპექტაკლი, შემდეგ წარმოდგენები გადატანილი იქნება კულტურის ერთერთ საუკეთესო სასახლეში — საკავშირო პროფსაბჭოს ან მ. გორკის სახელობის კულტურის სასახლეში, 15 სექტემბრიდან კი ვიბორგის კულტურის სასახლეში, სადაც გასტროლები გასტანს 1 ოქტომბრამდე.

თბილისის საოპერო თეატრი ლენინგრადელებს უჩვენებს 38 სპექტაკლს და 15-მდე კონცერტს, აქედან 5 სპექტაკლი და რამდენიმე კონცერტი გაიმართება წითელი არმიის სამეფო ნაწილებისა და წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მეზღვაურთათვის.

თეატრის დეკორაციები, კოსტუმები, რეკვიზიტი და სხვა აქსესუარები 30 ვაგონის შემადგენლობით უკვე მიღებულია და გადმოტვირთულია. დაწყებულია მოსამზადებელი მუშაობა გასტროლებისათვის.

ლენინგრადის თეატრალური საზოგადოებრიობა საზეიმო შეხვედრას უმზადებს მზიური საქართველოს ხელოვნების ოსტატებს.

ლენინგრადის მშრომელთა უდიდეს ინტერესს ქართული საოპერო თეატრის გასტროლებისადმი მოწმობს ის ფაქტი, რომ ს. მ. კიროვის სახელობის თეატრში და კულტურის სასახლეებში მიღებულია დიდძალი დაკვეთები მთელ სპექტაკლებზე.

რ. ხალილოვი

# სათეატრო მუზეუმში

საქართველოს სათეატრო მუზეუმმა შეიძინა მოსკოვის სამხატვრო თეატრის დამაარსებლის კონსტანტინე სერგეის-ძე ალექსეევ-სტანისლავსკის მიერ 1913 წელს სახლების მოიჯარადრე პ. პ. რიბაკოვთან დადებული ხელშეკრულება მალაია დმიტროვკასა და პუგინკოვის შესახვევში №2 სახლში მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიისათვის 8-ოთახიანი ბინის 3 წლით დაქირავების შესახებ.

პირველ წელიწადს ბინის ქირად სამხატვრო თეატრს მოიჯარადრე რიბაკოვისათვის უნდა გადაეხადა 5.600 მანეთი, მეორე წელს—5.880 მანეთი, ხოლო მესამეს — 6.170 მან.

## ფეხბურთი

### შეჯიბრება „სსრკ თასზე"

ბოლშევოში ჩატარდა მორიგი შეჯიბრება „სსრკ თასზე" ფეხბურთში. თამაშობდნენ ხარკოვის „სპარტაკი" და ბოლშევოს „დინამოს" გუნდები. შეჯიბრება მოიგეს დინამოელებმა—ანგარიშით 2:1.

O

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები მიემგზავრებიან ლენინგრადში, სადაც 20 აგვისტოს შეხვდებიან ლენინგრადის „სტალინეცს" „სსრკ თასის" გათამაშებაზე, ხოლო 24 აგვისტოს ეთამაშებიან იმავე „სტალინეცს" სსრკ პირველობაზე.

# ბუნებისმეტყველების მასწავლებელთა კურსები

სოფ. ქვიშხეთში გაიხსნა ბუნებისმეტყველების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური კურსები.

საქართველოს ყოველი კუთხიდან აქ თავი მოიყარეს საშუალო სასწავლებლების მასწავლებლებმა.

პროგრამებით გათვალისწინებულ თეორიულ, პრაქტიკულ და მეთოდურ საკითხებს ვარდა მსმენელები გაცხოველებით მუშაობენ ქვიშხეთის მიდამოების ჰერბარიუმისა და ზოოლოგიური კოლექციების შეგროვება-დამუშავებაზე. სისტემატურად ეწყობა აგრეთვე სასწავლო ექსკურსიები.

# პარტკალენდარი

## ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

17 აგვისტოს

**ლენინიზმის კაბინეტი**—ლექცია თემაზე: ლენინიზმის მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმ-კომუნიზმის აშენების შესახებ. კონსულტანტები: ქართულ ენაზე ამხ. ბოჯაძე, რუსულ ენაზე—ამხ. დონაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**საერთაშორისო პოლიტიკის კაბინეტი** — ლექცია თემაზე: ინგლისის საგარეო პოლიტიკა და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა. ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. ს. გეგია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**ალკკ კაბინეტი**—ლექცია კომკავშირული პროპსემინარების ხელმძღვანელთათვის თემაზე: მოსკოვის სახელმწიფო, და გლეხთა ომები XVII საუკუნის დასაწყისში. რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. ნიკოლაევსკი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი.



ქვიშხეთის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა ბანაკი.
სურათზე: ბავშვები ბანაობის შემდეგ მტკვრის ნაპირას ისვენებენ.
ფოტო პიონერ ვ. აკოფოვისა.

ლ. ისაკოვი

# სახემწინარნი

სამი მხრიდან ცამდე აზიდული მთა ნაბადივით წამოუსხამს ქვიშხეთის პიონერთა ბანაკს.

თითქოს მტკვარმაც იცის, რომ აქ პაწიები ისვენებენ: ჩუმი დუდუნით მიჰყვება კალაპოტს.

წიწვნარშერეული ტყე თითქოს მთელი დღის განმავლობაში ბავშვებს მოუქანცავთ: მდუმარედ გადმოსცქერის ლამაზ ხეობას. ფოთოლთა შრიალი, მდინარის ჩურჩული მშობლის ნანასავით ყურში ეწვეთებათ ბედნიერ გოგო-ბიჭებს.

...ღამე ფეხაკრეფით მიიპარება...

დილის სინათლემ წელი მოჰკვეთა წყვდიადს. აღმოსავლეთიდან გამოტყორცნილი მზის სხივები ბავშვებს ელამუნება, ეალერსება. ელავს დანამული ბალახი.

საყვირი ახმიანდა...

ბავშვებმა გაიღვიძეს...

ბანაკი გაცოცხლდა...

— ხაზზე! — ისმის ხელმძღვანელის ძახილი... და 236 წითელ ყელსახვევიანი ახალგაზრდა დგება შუა ეზოში აღმართული 25-მეტრიანი ანძის გარშემო. ეცნობიან დღის განაწესს, დილიდან საღამომდე რა უნდა აკეთონ. ისმის პიონერული სალამი სამ ენაზე და დროშა ზევით არბის, ანძის თავზე დამაგრებულ წითელ ვარსკვლავისაკენ მიისწრაფვის.

ასე იწყება ბანაკის ცხოვრება...

ამას მოსდევს საუზმე... იწყება წრეობრივი მუშაობა, სამხედრო მეცადინეობა, ფიზკულტურული თამაშობანი, კულტურულ-მასობრივი გართობა...

ენით ვერ ასწერ, სიტყვით სრულყოფილად ვერ გამოსთქვამ რესპუბლიკის ყოველი მხრიდან მოსული ბავშვების მრავალფეროვან, შინაარსიან და მიმზიდველ ცხოვრებას. ბოლშევიკების პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ ძმურ კავშირში შეადუღა სხვადასხვა ეროვნებანი; მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი, რომ რუმინელ, მონღოლ და პოლონელ ბავშვებს ერთი ენა გამოენახათ; მათ ჩვენს ბედნიერ ბავშვებთან ერთად მთელი თვე გაატარეს ქვიშხეთის ბანაკში. ყველანი ხელიხელგადახვეული დასეირნობდნენ, ერთად ისმენდნენ ხელმძღვანელთა საუბრებს... სიამაყის გრძნობა გიპყრობს, როცა ხედავ ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის გამარჯვებას, იმ პოლიტიკისა, რომელმაც საბოლოოდ მოსპო და მტვრად აქცია ჩვენს ქვეყანაში ნაციონალური შუღლი. მრავალ ენაზე გესმის პიონერული სალამი:

— მზად ვარ!

— ვსეგდა გოტოვ!

— მიშტ პატრასტ!

ბანაკმა 230 პიონერ-მოსწავლე გაისტუმრა პირველ წყებაზე. მათ აქ ერთი თვე მხიარულად გაატარეს, დაისვენეს, გაჯანსაღდნენ.

— ძია, ტასო კაპანაძე აქედან კი არ მიდიოდა, მიგორავდა. 9 კილოგრამი მოიმატა ერთ თვეში, გოგია აბაიშვილმა — 8 კილოგრამი. ასევე წავიდნენ თ. შველიძე, ვ. ძამაშვილი, მ. მამიკონიანი და სხვ. — ღიმილით გვეუბნებიან პიონერ-მოსწავლეები.

ახლა მეორე წყებაზე ვახტანგ გველესიანმა და ბაირამოვმა 3-3 კილოგრამი მოიმატეს 10 დღეში. ეს ასეც უნდა იყოს, ეს ბუნებრივია. ისინი ბანაკად არიან, მთებს შორის და სტალინურ მზრუნველობას გრძნობენ.

აგერ ზევით აბანოა, მარცხნივ სამზარეულო, პურის საცხობი. არის ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საზაფხულო კლუბი, ფარდული, კოპწიად მოწყობილი სასადილო, საექიმო პუნქტი, სამხედრო და ფიზკულტურული ქალაქები, 7 ბარაკი. და ყველაფერი ეს პარტიამ და მთავრობამ მოაწყო ჩვენი ბედნიერი ბავშვების გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის, კულტურული გართობა-დასვენებისათვის.

აბა დაათვალიერეთ ბანაკის ყველა კუთხე-კუნჭული, ადით მწვანით აქოჩრილ ფერდობზე, მთას წვეროზე მოექეცით, გადით მდინარის პირზე, ნახეთ ცელქები, ყველგან არიან ისინი; ყველა სიცოცხლით აღსავსეა, ყველას ჯანსაღი ღიმილი უკრთის მზით დამწვარ სახეზე; და ამ ღიმილში ნათლად გამოსხივების სიყვარული დედა-სამშობლოსადმი, სიყვარული მამისა და მზრუნველის — დიდი სტალინისადმი, რომელმაც დიდებსა და პატარებს ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება შეგვიქმნა.

O

ერთ დღეს, დილით ბავშვები ხაზზე დადგნენ... ხელმძღვანელმა უნდა გააცნოს დღის განაწესი, მაგრამ განაწესი დაკარგულა. ნახეს მხოლოდ ბარათი, რომელშიაც ეწერა: განაწესი მოპარულია... ნახავთ ბანაკიდან 400 ნაბიჯის დაშორებით... და კიდევ რამდენიმე ბუნდოვანი ნიშანი ეწერა ბარათში.

ბავშვებმა ყიჟინ-ხივილი ასტეხეს, სხვადასხვა მხარეს გაიშალნენ. აგერ, ერთმა ჯგუფმა „ბეწვის ხიდი" გადალახა, ბავშვებმა ვიწრო ბილიკით ფერდობი აირბინეს და ტყეს მოედვნენ. დაიხმარიეს კომპასიც.

... და აი, ერთი მოზრდილი ხის კენწეროზე მოექცა პიონერი აკაკი. მას სხვებიც მიჰყვნენ... ბავშვებმა ტაშისცემითა და ურიამულით ტყე აახმაურეს... ბავშვებმა დამალული განაწესი იპოვეს. მართლაც, ეს სამხედრო-ტოპოგრაფიული ამოცანა ბრწყინვალედ გადასჭრეს ბავშვებმა.

სრულ 12 საათსა და 30 წუთზე ბანაკი საყვირის ხმამ გააყრუა:

— საჰაერო განგაშია.

3 წუთში არცერთი ბავშვი აღარ იყო გარეთ, გარდა მორიგეებისა, რომლებიც აირწინაღებით გარბოდნენ ეზოს ერთი კუთხიდან მეორეში... ჩაიკეტა ფანჯრები, კარები, და ნახევარმა საათმა ისე განვლო, რომ გარეთ ცხვირი არავის გამოუყვია. ასე ეჩვევიან პიონერ-მოსწავლეები საჰაერო თავდაცვას.

O

8 აგვისტოა..

ბანაკის ალაყაფის კარებთან დგას პიონერი რუბენ გეგამიანი; ის დღეს მორიგეა. ხელმძღვანელებისაგან ნათქვამი აქვს: უცხო პირი არ შემოუშვას ბანაკში.

აი, ვიღაც ღიმილით მოემართება ალაყაფის კარებისაკენ, სურს ეზოში შემოვიდეს, მაგრამ პატარა რუბენი უარზეა:

— შემოსვლა არ შეიძლება, უფროსებს დაეკითხეთ.

ხელმძღვანელებმა ბანაკში შემოსვლის ნება დართეს. ახლადმოსული ვეირგ გეგამიანი მამა იყო რუბენ გეგამიანისა. ვეირგი შემოსვლისთანავე ბავშვს გადაეხვია, გადაჰკოცნა და უფროსებს მიუბრუნდა:

— მომწონს ბანაკში წესრიგი და დისციპლინა. 15 დღის უნახავმა შვილმა თქვენ დაუკითხავად ეზოში ერთი ნაბიჯიც არ გადმომადგმევინა.

— ასეთია ჩვენი კანონი,—სთქვა რუბენმა და ეშმაკურად ჩაიცინა. ამ სიტყვებზე ყველამ ხმამაღლა გადიხარხარა.

O

ბანაკში გამოდის კედლის გაზეთები — საბანაკო და სარაზმო. უშვებენ აგრეთვე ლიტერატურულ გაზეთს. სისტემატურად ეწყობა საღამო-წარმოდგენები; აქ კი განსაკუთრებით მოსჩანს სხვადასხვა წრეების, პიონერთა ჯაზ-ორკესტრის, სიმებიანი და სასულე ორკესტრის, მომღერალთა გუნდის მუშაობა.

ბავშვებმა ნახეს კინო-სურათები: „სიყრმე", „ლენინი ოქტომბერში", „დარიკო" და სხვ. უცხოელ ბავშვებთან ერთად სამჯერ მოხდა ქართველ საბჭოთა მწერლებთან შეხვედრა. გ. ლეონიძე, ნ. ნაკაშიძე, ს. თავაძე, რ. ქორქია და სხვ. საკუთარი შემოქმედებით გაუმასპინძლდნენ ბავშვებს.

ბანაკში ჩატარდა თვითმოქმედების საღამოები. რაზმებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბანაკის ოლიმპიადაში; 30 ბავშვი დაჯილდოვებულ იქნა.

პიონერ-მოსწავლეები: ირ. ლოლუა, გური ძიძიგური, ა. გელოვანი, ლინა ერისთავი და სხვ. საუკეთესოდ ცეკვავენ. გაცხოველებით მუშაობენ ნორჩი მხატვრები პაპინოვი, კარაგულიანი და სხვ. ისინი პატარა ფუნჯით ოსტატურად ხატავენ ხეებს, მდინარეს, მთებს, პიონერთა მოღიმარ სახეებს. ჭიათურელი მოსწავლე ნოდარ ჩხეიძე ხშირად ბავშვების ჯგუფში დგას და საკუთარ ლექსებს კითხულობს ბელადზე, სამშობლოზე.

O

დღეები მხიარულად მიდის...

თვის ბოლოს ლ. ბერიას სახელობის პიონერთა რესპუბლიკურ ბანაკს დასტოვებენ ბავშვები, ყველა თავის რაიონს მიაშურებს, ყველა განახლებული ენერგიით შეუდგება სწავლას...

ბედნიერი ბავშვები გვყავს, ჭეშმარიტად ბედნიერი.


საქფილმეტის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50

სტალინგრადის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები

17 აგვისტოს ტალონი № 78 ჰოლანდიელი ქალი
18 აგვისტოს ტალონი № 79 ქორნილი მალინოვკაში

დასაწყისი სრულ 9 ს. 15 წ.

დაიწყო მუდმივი ადგილების მესამე გადასახადის ძიღება.

ღია ესტრადა

17 და 18 აგვისტოს
სომხეთის სსრ რადიოკომიტეტის ხალხური საკრავების ანსამბლის საღამოები
ა. მერანგულიანის ხელმძღვანელობით.
დაწვრილებით აფიშებში.
დასაწყისი საღ. 10 საათზე.
ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.

განცხადებების მიღება
გაზეთებში:
„კომუნისტი". „ახალგაზრდა კომუნისტი". „მუშა". „ხორურდაინ ერასტან" და „ენი - ქენდი"
სწარმოებს
დილის 9 საათიდან 2½ ს-მდე
„კომუნისტის" გამომცემლობაში
რუსთაველის პროსპექტი, № 34.


# თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წ. 9 აგვისტოს სავალდებულო დადგენილება

(ოქმი № 54 § 48)

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომსაბჭოს ა. წ. 21 ივლისის დადგენილების საფუძველზე—ქალ. თბილისზე ქალ. მოსკოვის ქუჩების ელექტროგანათების იმ წესის გავრცელების შესახებ, რომელიც დადგენილია ეკონომსაბჭოს მიერ განათების საჭიროებებზე ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისა და ყოველგვარ გადამეტებულობათა აღმოფხვრის მიზნით,—თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს—შემოღებულ იქნას ქალ. თბილისში აგვისტოსა და სექტემბრისათვის ქუჩების, საწარმოთა და დაწესებულებათა გარეგანი, სამორიგეო და შინაგანი განათების ელექტრონათურებით სარგებლობის შემდეგი წესი და ჩართვისა და გამორთვის საათები:

1. დაწესდეს ქუჩების განათების ნათურების წვის ქვემოხსენებული საათები და არ დაიშვას ნაადრევად ჩართვა ან დაგვიანებით გამორთვა არა უმეტეს 15 წუთისა.

ჩართვის საათები

| | I დეკ. | II დეკ. | III დეკ. |
|---|---|---|---|
| აგვისტო | 20 ს. 50 წ. | 20 ს. 30 წ. | 20 ს. 15 წ. |
| სექტემბერი | 20 „ 05 „ | 19 „ 50 „ | 19 „ 30 „ |

გამორთვის საათები

| | I დეკ. | II დეკ. | III დეკ. |
|---|---|---|---|
| აგვისტო | 4 ს. 50 წ. | 4 ს. 55 წ. | 5 ს. 05 წ. |
| სექტემბერი | 5 „ 20 „ | 5 „ 30 „ | 5 „ 40 „ |

2. დაევალოს ყველა სახლთმმართველობას ჩართონ ნათურები სახლის ნომრებთან ქუჩების განათებისათვის დაწესებულ საათებში და გამორთონ ხოლმე ისინი დილის სამ საათზე.

3. ღამის საათებში ღია სავაჭრო საწარმოებში (მაღაზიები, რესტორანები, სასადილოები, ყოველგვარი დაჲაბები და ა. შ.) დაშვებულ იქნას განათების ჩართვა ქუჩის განათებაზე ნახევარი საათით ადრე იმ ანგარიშით, რომ იგი მთლიანად გამორთულ იქნას ვაჭრობის დამთავრების შემდეგ, ხოლო სამორიგეო განათებისათვის დატოვებულ იქნას არა უმეტეს 15 ვატისა სავაჭრო ფართობის 100 მეტრზე, მაღაზიებში კი—დამატებით ვიტრინების განათებისათვის არა უმეტეს 25 ვატისა ვიტრინაზე.

4. შესწყდეს სავაჭრო, სანახაობათა და სხვა საწარმოების სარეკლამო განათება ღამის 12 საათზე (სამორიგეო აფთიაქების გარდა).

5. ღამის საათებში მომუშავე დაწესებულებებში დაიშვას განათების ჩართვა ქუჩის განათებაზე ნახევარი საათით ადრე, იმ ანგარიშით, რომ მუშაობის დამთავრების შემდეგ მთლიანად გამორთულ იქნას განათება სათავსებში, დატოვებულ იქნას მხოლოდ სამორიგეო განათება კიბეებში, კორიდორებში, გასასვლელებში და სხვა ამის მსგავს ადგილებში.

6. ჩაქრობილ იქნას თეატრების მთელი საფასადო და გარე განათება სპექტაკლების დაწყების შემდეგ, ხოლო ანთებულ იქნას სინათლე 10 წუთით წინ სპექტაკლის დამთავრებამდე, იმ ვადით, რაც აუცილებელია მაყურებლების მიერ შენობის განთავისუფლებისათვის.

7. კულტურისა და დასვენების პარკებში და საზაფხულო კლუბებში განათება ჩართულ იქნას ქუჩის განათებასთან ერთდროულად და გამორთულ იქნას მთლიანად ყოველგვარი განათება მაყურებელთა წასვლის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს დილის 2 საათისა, მხოლოდ სამორიგეო განათების დატოვებით.

8. რკინიგზის ვაგზლებისა და ლიანდაგებისათვის დაშვებულ იქნას განათების ჩართვა ქუჩის განათებაზე ნახევარი საათით ადრე და გამორთვა ნახევარი საათით გვიან.

9. საცხოვრებელი სახლების კიბეებში, კორიდორებში, საფარეშოებში და სხვა ამის მსგავს ადგილებში არ დაიშვას 15 ვატზე უმძლავრესი ელექტრონათურებით სარგებლობა ყოველ შუქწერტზე.

10. ღამით მომუშავე სამრეწველო საწარმოების გარე განათება ჩაირთვის ქუჩის განათებასთან ერთდროულად და გამოირთვის მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, სამორიგეო განათებისა და დასაცავი ზონის განათების დატოვებით. ყველა იმ საამქროში, ქარხნის კანტორებში და სხვა სათავსებში, სადაც ღამის საათებში მუშაობა არ სწარმოებს, ჩაირთვის მხოლოდ სამორიგეო განათება. შუქის ნაკადის უკეთესად გამოყენებისათვის, თვეში ერთხელ მაინც სწარმოებდეს განათებითი არმატურისა და ფანჯრის მინების გაწმენდა და გარეცხა და რეგულარულად სწარმოებდეს კედლებისა და ჭერის შეთეთრება.

11. დაევალოს ყველა საწარმოთა ხელმძღვანელებს გადასინჯონ შუქწერტების რიცხვი, სიმძლავრე და მათი განლაგების მიზანშეწონილობა საამქროებში, ქარხნის ეზოებში, კანტორებსა და დაწესებულებებში, ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის უზრუნველსაყოფად; გარდა ამისა, სავაჭრო საწარმოებმა შეამოწმონ ვიტრინების გაფორმება მაქსიმალური ბუნებრივი განათების მიღების მიზნით.

12. დაევალოს: თელასს (§ 1-ით), საცხოვრებელი სახლების სამმართველოს და ორგანიზაციებისა და კერძო პირების კუთვნილი სახლების მმართველობებს (§§ 2 და 10-ით), ამიერკავკასიის რკინიგზების სამმართველოს (§ 9-ით) და ყველა სამრეწველო საწარმოთა, დაწესებულებათა, სავაჭრო საწარმოთა და სანახაობათა ხელმძღვანელებს გამოჰყონ მორიგე პირები, რომლებიც გაატარებენ შუქის თავის დროზე ჩართვასა და გამორთვას, დაეკისროს ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს პერსონალური პასუხისმგებლობა ამ დადგენილების დარღვევისათვის.

13. მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოებმა შემოიღონ სისტემატური მეთვალყურეობა ამ დადგენილების შესრულებაზე განათების ჩართვისა და გამორთვის დაწესებული საათების ხაზით, ხოლო თელასმა—სრული მოცულობით, და დარღვევის ყველა შემჩნეული შემთხვევის შესახებ შეადგინონ ხოლმე სათანადო აქტები, რომლებიც უნდა წარუდგინონ რაისაბჭოებთან არსებულ ადმინისტრატიულ კომისიებს. დამნაშავეთა დასაჯარიმებლად და სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მისაცემად.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის
აღმსრულებელი მ. გვიშიანი.
თბილისის საბჭოს პასუხისმგებელი
მდივანი შარაშიძე
1769


მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: სამდივნოსი 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61 სასოფლო სამეურნეოს—3—73—40. მშრომელთა წერილების—3—73—24; პ.მ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერებს ავტორებს არ უბრუნებთ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ., № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—1427